კადრების მიწოდებას, რადგან საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე უკრაინის შეიარაღებული ძალების არსენალში არსებული BM-30, BM-21, BM-27, 2S1, 2S3, 2S5, 2S19, D-30, D-20, D-44, 2S7, 2A65, 2S22, 2A36 მოდელის რეაქტიული და ლულიანი საბჭოთა სტანდარტების საარტილერიო სისტემების გარდა ჩნდება ამერიკული HIMARS M142, M270, M777, M109, M101, პოლონური AHS CRAB, ფრანგული CAESAR, გერმანული Pzh200, სლოვაკური ZUZANA, ჩეხური DANA2, RM70, ბრიტანული L118 და იტალიური FH70-თვის გათვლების და ეკიპაჟების მომზადების საჭიროება, რაც უკრაინის არმიის საბრძოლო მომზადების სისტემას რთულ მოთხოვნებს უყენებს. მართალია ამ ეტაპზე ახალი საარტილერიო სისტემების გათვლების და ეკიპაჟების წვრთნის პროცესს უცხოელი პარტნიორები უზრუნველყოფენ ძირითადად მათსავე საწვრთნელ ცენტრებში, მაგრამ ეს არაა უსასრულო პროცესი და გარკვეული პერიოდის შემდეგ უკრაინის წვრთნების და სამხედრო განათლების სისტემას თავად მოუწევს მოიცვას აღნიშნული სეგმენტი და საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შეიარაღებულ ძალებისთვის სამეთაურო რგოლის, ეკიპაჟების და გათვლების მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ შეიარაღების არსენალში არსებული საარტილერიო სისტემების საექსპლუატაციო მოთხოვნებისა. ხელთარსებული საარტილერიო შეიარაღების მრავალფეროვნება აიძულებს უკრაინის სამხედრო წვრთნების და განათლების სისტემას, გახდეს უფრო კომპლექსური, რათა მოიცვას ყველა მიმართულება, რაც გულისხმობს უდიდეს ფინანსურ და ინტელექტუალურ კონტრიბუციას[3]. იმ შემთხვევაში, თუ მაინც განხორციელდა ამგვარი სისტემის აწყობა და ექსპლუატაციაში ჩაშვება ბოლომდე შესაძლოა მაინც ვერ იყოს ეფექტური, რადგან ერთ საარტილერიო სისტემაზე მომზადებულ გათვლებს, მათი სამსახურებრივი ადგილმონაცვლეობის შემთხვევაში გაუჭირდებათ სხვა სისტემებთან ადაპტაცია და დღის წესრიგში დადგება მათი ხელახალი გადამზადების საჭიროება. ყოველივე ზემოაღნიშნული სავარაუდოდ უბიძგებს უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს, განახორციელოს ხელახალი გადაიარაღების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ძირითად საარტილერიო კალიბრზე სრულყოფილ გადასვლას და საარტილერიო პარკში არსებული მრავალფეროვნების შემცირებას მისაღებ ნიშნულამდე, არსებული ნეგატიური ფაქტორების გასანეიტრალებლად.

პარტნიორთა სამხედრო დახმარების პაკეტები: ლოგისტიკური უზრუნველყოფის დილემა უკრაინის არმიისთვის

რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში უკრაინის მხრიდან განცდილი დიდი დანაკარგების საკონპენსაციოდ პარტნიორების მიერ გაწეულმა სამხედრო დახმარების პაკეტებმა მოიცვა საბრძოლო ფუნქციების ყველა სფერო, ეფექტურად გაზარდა უკრაინის შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბრძოლის ველზე რუსეთის არმიის შეკავების, გამოფიტვის და მისი შეტევითი პოტენციალის დაქვეითების პროცესში, რაც უდავოდ წარმატებად უნდა შეფასდეს, მაგრამ მიღებულმა მოცემულობამ შესაძლებელია რთული გამოწვევების წინაშე დააყენოს უკრაინის შეიარაღებული ძალები და მნიშვნელოვნად შეზღუდოს პარტნიორების მიერ მიწოდებული საბრძოლო ტექნიკის და შეიარაღების სისტემების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა[4].

სიახლეს არ წარმოადგენს ფაქტი, რომ საომარი მოქმედებების თეატრში დროულ და ეფექტურ ლოგისტიკურ უზრუნველყოფას, სწრაფ მომარაგებას, დროულ ევაკუაციას და რემონტს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება და დიდწილად განსაზღვრავს მეომარი მხარის წარმატებას ან წარუმატებლობას. სწორედ ლოგისტიკური უზრუნველყოფის გართულებული მოთხოვნები, რომელსაც საჭიროებს მიღებული სამხედრო დახმარების პაკეტები, შეიძლება იქცეს უკრაინის შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალის დაქვეითების მნიშვნელოვან განმაპირობებლად. აღნიშნულის საილუსტრაციოდ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს დღეისთვის უკრაინის შეიარაღებული ძალების ხელთ არსებული მუხლუხიანი და ბორბლიანი ჯავშანტექნიკის მრავალფეროვნება, რომელიც მოიცავს, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმოების BMP-1/2/3, BMD-2/3/4, BTR70/80/82, BRDM-2 და საკუთარი წარმოების BTR-4, KOZAK-ის ტიპის ჯავშანტექნიკას, რომელთა ლოგისტიკური უზრუნველყოფისთვის ინფრასტრუქტურა განვითარებულია და სპეციალისტების ნაკლებობასაც არ განიცდის, აგრეთვე სამხედრო დახმარების სახით მიღებული ბრიტანული FV103, FV107, FV104, SAX-ON, ALVIS4, MASTIFF, WOLFHOUND, HUSKY, M1224, გერმანული DINGO, BERGEPANZER2, ამერიკული M113, M577, HUMVEE, თურქული KIRPI, იტალიური MLS SHIELD, IVECO LMV/VM90, ესპანური URO VAMTAC, პოლონური LPG, ჰოლანდიური YPR765, კანადური ACSV, ავსტრალიური BUSHMASTER, ფრანგული VAB და ფინური AX185 ტიპის მუხლუხიან და საბურავიან ჯავშანტექნიკას (არონია 2022). გამომდინარე იქედან, რომ სამხედრო დახმარების სახით მიღებული საბრძოლო ტექნიკის მოდელები განსხვავდება უკრაინის შეიარაღებული ძალების აქამდე ხელთარსებული მოდელებისგან, საჭიროებს

3 Robert Gibson, ,,Logistic Lessons In The Russia-Ukraine War''. The Cove. 2022. https://cove.army.gov.au/article/logistic-lessons-russia-ukraine-war.

4 Joe Saballa, ,,Ukraine Receives 50 Kirpi Armored Vehicles From Turkey''. The Defence Post. 2022. https://www.thedefensepost.com/2022/08/10/ukraine-kirpi-vehicles-turkey/.

სარემონტო ბაზების და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას ან სრულ განახლებას და რემონტის პროცესში ჩართული სპეციალისტების მომზადებას, ხოლო მარაგ-ნაწილების ფართო სპექტრზე შექმნილი მოთხოვნა რისკის ქვეშ აყენებს სწრაფ და ხარისხიანი რემონტის შესაძლებლობას და მოითხოვს არარაციონალურ ხარჯებს, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება უკრაინის თავდაცვის სამინისტროს. შექმნილი გარემოებები ხელს შეუწყობს უკრაინის შეიარაღებულ ძალებში გადაიარაღების პროცესის შემდგომი ეტაპის განხორციელებას, ლოგისტიკური რისკების შესამცირებლად და შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების შესანარჩუნებლად.

დასკვნა

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის შეირაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის და საექსპლუატაციო გამოწვევების მთავარ მიზეზს წარმოადგენს დამდგარ საფრთხიდან გამოწვეული უკიდურესი აუცილებლობის დასაბალანსებლად ცივილიზირებული თანამეგობრობის კოლექტიური რეაგირების სპეციფიკა, რომელიც მეტწილად უკრაინის შეიარაღებული ძალების საბრძოლო სიძლიერის სწრაფ აღდგენაზეა ორიენტირებული და დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთში გახდება დადებითი ეფექტის მომტანი. გამომდინარე იქედან, რომ პოსტკონფლიქტურ შავი ზღვის რეგიონი მიმდინარე მოვლენების ზეგავლენით მნიშვნელოვანი ცვლილებების პირისპირ დგება, იკვეთება შესაძლებლობის ფანჯარა უკრაინის სახელმწიფოსთვის, გახდეს ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე რეგიონში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად იზრდება უკრაინის შეიარაღებული ძალების, როგორც ქვეყნის უსაფრთხო განვითარების გარანტორის როლი. ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პოლიტიკური მიზნების მხარდასაჭერად და ნატოსთან თავსებადობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი გახდება უკრაინის არმიისთვის გააგრძელოს გადაიარაღების პროცესი და უზრუნველყოს რაციონალური აუცილებლობის ჩარჩოში ნაკარნახევი საბრძოლო შეიარაღების ტაბელის ფორმირება, რაც კიდევ უფრო გაზრდის უკრაინის შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს უკრაინის სახელმწიფოს, მნიშვნელოვნად ჩაერთოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ლიტერატურა ქართულ ენაზე

- არონია, გიორგი. 2022. ,,ქვეყნები, რომლებმაც უკრაინას ყველაზე დიდი დახმარება აღმოუჩინეს''. Forbes Georgia. 22 აგვისტო. 2022. https://forbes.ge/qveqhnebi-romlebmats-ukrainas-qhvelaze-didi-samkhedro-dakhmareba-aghmouchines/;
- კუნჭულია, ლელა. 2022. ,,თავდაცვიდან თავდასხმაზე? აშშ-ის სამხედრო დახმარება უკრაინას ახალ შესაძლებლობებს აძლევს''. რადიო თავისუფლება. 25 აპრილი. 2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/31820541.html;
- ჩაჩანიძე, თამთა. 2022. ,,მზადაა თუ არა დასავლეთი ხანგრძლივ ომში უკრაინის სამხედრო დახმარება განაგრძოს''. რეზონანსი. 29 აგვისტო. 2022. http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?id_rub=2&id_artc=164315.
- ლიტერატურა ინგლისურ ენაზე
- Burchard, Hans. 2022,, Germany To Send 50 Armored Vehicles To Ukraine After Pressure To Step Up Support''. POLITICO. 6 October. 2022. https://www.politico.eu/article/under-pressure-germany-agrees-to-send-50-armored-vehicles-to-ukraine/;
- Castillo, Vincent. 2022. ,,Logistics Case Study: How Do Weapons Get To Ukraine?''. The Maritime Executive. 17 Mart. 2022. https://maritime-executive.com/editorials/logistics-case-study-how-do-weapons-get-to-ukraine;
- Gibson, Robert. 2022. ,,Logistic Lessons In The Russia-Ukraine War''. The Cove. 16 March. 2022. https://cove.army.gov.au/article/logistic-lessons-russia-ukraine-war;
- Mussa, Muhammad. 2022. ,,UK To Deliver Armored Vehicles To Ukraine''. AA. 7 Jul. 2022. https://www.aa.com.tr/en/europe/uk-to-deliver-armored-vehicles-to-ukraine/2558212;
- Malyasov, Dylan. 2022. ,,Finnish-made Armored Vehicles Spotted In Ukraine''. Defence Blog. 28 September. 2022. https://defence-blog.com/finnish-made-armored-vehicles-spotted-in-ukraine/;
- Saballa, Joe. 2022. ,,Ukraine Receives 50 Kirpi Armored Vehicles From Turkey''. The Defence Post. 10 August. 2022. https://www.thedefensepost.com/2022/08/10/ukraine-kirpi-vehicles-turkey/;
- Sabah, Daily. 2022.,, Russia-Ukraine War Reveals How Important Military Logistics Are''. Navy Mutual. 5 October. 2022. https://www.dailysabah.com/business/defence/russia-ukraine-war-reveals-how-important-military-logistics-are .

ლიტერატურა უკრაინულ ენაზე

- Defence Express. 2022. ,, Вогняні уроки 6 місяців російсько-української війни та спроможності сектору безпеки і оборони України''. Defence Express. 2 September. 2022.https://defence.ua.com/army_and_war/vognjani_uroki_6_misjatsiv_rosijsko_ukrajinskoji_vijni_ta_spromozhnosti_sektoru_bezpeki_i_oboroni_ukrajini-8753.html.

რუსეთ - უკრაინის ომის გავლენა საქართველოზე

ვიცე პოლკოვნიკი ილია ჩანადირი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
სახელმწიფო რესურსების მართვის მაგისტრანტი
პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე მირიანაშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
სახელმწიფო რესურსების მართვის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს აჩვენოს, თუ რა გავლენა იქონია რუსეთ უკრაინის ომმა ქვეყნის როგორც საგარეო ასევე შიდა მიმდინარე პროცესებზე. კერძოდ, საერთაშორისო ასპარეზზე, დიპლომატიურ და პოლიტიკურ ველზე. ასევე უნდა აღინიშნოს რომ ამ ომმა დასაწყისშივე უკრაინა-საქართველოს ხელისუფლებებს შორის მნიშვნელოვანი პოლიტიკური დაძაბულობა და ურთიერთობების გაფუჭება გამოიწვია, რაც ნაკლებად აისახა უკრაინელ და ქართველ ხალხზე. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთ უკრაინის ომის მსვლელობაში და რეგიონში შექმნილი მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ დაძაბულობის ფონზე მოხდა. კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აღნიშნულია სტატიაში, არის ქართველი ერის მიერ უკრაინელი ერის ჰუმანიტარული და სამხედრო - მოხალისეთა მხარდაჭერა, რასაც აქვს დიდი მორალური მნიშვნელობა.

სტატიის მიზანია აჩვენოს, თუ რა გავლენა აქვს რუსეთ უკრაინის ომმს საქართველოზე. აღნიშნული საკითხის კვლევის კვალდაკვალ უნდა ჩამოვაყალიბოთ ის საკითხები, რომლებიც გამოიკვეთა აღნიშნული ომის დაწყებიდან დღემდე.

საკვანძო სიტყვები:
რუსეთ-უკრაინის ომმი, დიპლომატიურ/პოლიტიკური ურთიერთობები, ოკუპაცია, ანექცია, დიპლომატიური დაძაბულობა, ეკონომიკური სანქციები.

The Impact of the Russia-Ukraine War on Georgia

Lieutenant Colonel Ilia Chanadiri
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Master's Students in State Resource Management
Police First Lieutenant Aleksandre Mirianasvili
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Master's Students in State Resource Management

Abstract

The main purpose of the article is to demonstrate how the war between Russia and Ukraine influenced both the external and internal processes of the country, in particular, the international arena and the diplomatic and political domains. It should also be noted that at the very beginning, the mentioned war caused significant political tension and deterioration of relations between the Ukrainian-Georgian authorities although it had little effect on the Ukrainian and Georgian people. Georgia's application for EU membership is also important, which, of course, took place during the war between Russia and Ukraine and against the background of severe military-political tensions in the region. Another circumstance outlined in the article is the humanitarian and military support of the Ukrainian nation by the Georgian people with volunteers that is of great moral significance.

The purpose of the article is to show the impact of the Russia-Ukraine war on Georgia. Following the research of the mentioned point, we should formulate the issues that have been highlighted since the beginning of the mentioned war.

Keywords:
Russia-Ukraine war, diplomatic/political relations, occupation, annexation, diplomatic tension, economic sanctions.

შესავალი

ისტორიულ წარსულს თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სამეზობლოში კონფლიქტური სიტუაციები, ომები, აგრესორი ქვეყნის მიერ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია არ არის ახალი მოვლენა.სავარაუდოა, რომ ცოტა არ წარმოიდგენდა რუსეთის შეჭრას მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე და აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ. აშკარა თავდასხამ მიიღო ოკუპაციის სახე და ახალი ფართომასშტაბიანი სამამულო ომი მიმდინარეობს აგრესორი რუსეთის წინააღმდეგ. საინტერესო იქნება, განვიხილოთ, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია რუსეთ-უკრაინის ომს საქართველოზე, რადგანაც ამ ომში მიღებული შედეგებით განისაზღვრება საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო კურსი და მიმართულება. აღნიშნული საკითხის კვლევის კვალდაკვალ უნდა ჩამოვაყალიბოთ ის გავლენები, რომლებიც გამოიკვეთა რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას.

თავშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთ უკრაინის ომი ჯერ არ დასრულებულა და ამიტომ, საფუძვლიანი დასკვნების გამოტანა შეუძლებელია. ამასთან საფიქრებელია, რომ წინასწარ დეტალურად ვერ გავაანალიზოთ ის გავლენები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ომის დასრულების შემდგომ. თუმცა შეგვიძლია, რამდენიმე ფაქტზე დაყრდნობით განვიხილოთ მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური, დიპლომატიურ /პოლიტიკურ, საინფორმაციო და სამხედრო მიმართულებებზე.

პირველ რიგში, ალბათ, ხაზი უნდა გაესვას იმ მნიშვნელოვან საკითხს, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური დაძაბულობა გამოიწვია უკრაინა-საქართველოს შორის. სავარაუდოა, რომ უკრაინა მოელოდა უფრო მეტ დიპლომატიურ თუ პოლიტიკურ მხარდაჭერას თბილისისგან. ეს მოლოდინები გამოწვეული იყო იმ გასული 30-წლიანი ურთიერთობიდან, რომელიც დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ (თუმცა საბჭოთა კავშირში ყოფნის დროსაც ორივე ქვეყნა ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან). საქართველო-უკრაინას შორის ურთიერთობა სტრატეგიულ დონეზეა არის აყვანილი და თითქმის 30 წელს ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქვეყნის მთავრობები იცვლებოდნენ, ამას სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ურთიერთობისთვის ჩრდილი არ მიუყენებია. თუმცა, სავარაუდოა, რომ დაძაბულობა იგრძნობა არა ომის დაწყებიდან, არამედ 2012 წლიდან, როდესაც საქართველოს ყოფილი ხელისუფლების რამდენიმე გავლენიანმა პოლიტიკურმა ფიგურამ თავი შეაფარა უკრაინას და იქ გააგრძელა პოლიტიკური ასპარეზი. ამან აშკარად შეცვალა ამინდი ორი სახელმწიფოს მთავრობებს შორის, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს ფაქტი, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ქართველ და უკრაინელ ხალხს შორის ურთიერთობაში დაძაბულობა არასდროს არ გაჩენილა. მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ არაერთი ფაქტი იმის საილუსტრაციოდ, რომ ქართველი ხალხი ომის დაწყების დღიდან უკრაინელებს უდიდეს მხარდაჭერას უცხადებს, კერძოდ, საქართველოში აქტიურად დაიწყეს ჰუმანიტარული დახმარებას შეგროვება და თანხის ჩარიცხვა უკრაინის მხარდამჭერ ფონდებში. ასევე, მთავრობის ძალისმევით დროებითი თავშესაფრით გახდნენ უზრუნველყოფილნი ლტოლვილები უკრაინიდან მაშინ, როცა მათი რიცხვი ბოლო მონაცემებით რამდენიმე ათი ათასს შეადგენს.

დიპლომატიურ/პოლიტიკური დაძაბულობა მხოლოდ მწვავე განცხადებებით არ შემოფარგლულა და უფრო შორსაც წავიდა. დიპლომატიურმა დაძაბულობამ კულმინაციას აპრილში მიაღწია, როდესაც უკრაინულმა მხარემ თბილისიდან ელჩი გაიწვია. ამის გამომწვევი მთავარი საბაბი, რა თქმა უნდა, ხმამაღლა არ გაცხადებულა, თუმცა ნათელი იყო ელჩ იგორ დოლგოვის გაწვევის მოტივი: საქართველოს ნაკლებად აქტიური პოლიტიკა და მოქმედებები მეგობარი ქვეყნის მხარდასაჭერად. ალბათ, პარადოქსია ის ფაქტიც, რომ უკრაინულ მხარეს არ გამოუწვევია ელჩი ბელორუსიდან, რომელიც იყო რუსეთის შეტევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება (კიევზე შეტევა). ამის პარალელურად განტევების ვაცი გახდა საქართველო საიდანაც ელჩი გაიწვიეს. ამ მოვლენის სათავეები უფრო უნდა ვეძიოთ უკრაინის მაღალ ეშელონებში, სადაც საკმაოდ არიან დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგე პოლიტიკური ფიგურები.

კიდევ ერთი რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომი მოვლენა, რომელმაც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე იქონია გავლენა, იყო საქართველოს ევროპული კურსი. საქართველო-ევროკავშირის ახლო ურთიერთობა გადავიდა ახალ ეტაპზე. როგორც მოგვეხსენება, საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გასულ წელს წარმოთქვა სიტყვა ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნა, რომ ქართული მხარე 2024 წელს გააკეთებდა განაცხადს ევროკავშირის კანდიდატის ქვეყნის სტატუსზე, თუმცა რუსეთ- უკრაინის მოვლენებმა ეს პროცესი დააჩქარა და თბილისმა ევროკავშირის კანდიდატურის სტატუსზე განაცხადი 2022 წლის აპრილში წამოაყენა. იმის მიუხედავად, რომ საქართველომ აღნიშნული სტატუსი ვერ მიიღო, ამას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე.

გარდა ზემოთ თქმულისა, უნდა ვისაუბროთ იმ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე, რომელიც რუსეთ-უკრაინის და რუსეთ-საქართველოს ომებს შორის გამოვლინდა (რა თქმა უნდა, ომის დროის ხანგრძლივობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს). ალბათ, ყველას გვემახსოვრება, რომ აგვისტოს ომის დასაწყისიდანვე არაერთი ქვეყნის ლიდერმა ცალსახად დაადანაშაულა ქართული მხარე ომის დაწყებაში. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ გავიხსენოთ თუნდაც 2008 აგვისტოს ომის

ფაქტების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის, შვეიცარიელი დიპლომატის, ჰაიდი ტალიავინის,[1] დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ქართული მხარე ცალსახად დადანაშაულებულია ომის დაწყებაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ ბრძოლა აწარმოა საკუთარ ტერიტორიაზე და სურდა კონსტიტუციური მართლწესრიგისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. დღესდღეობით, რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისიდანვე, არავინ აღარ საუბრობს საქართველოს ბრალეულობაზე აგვისტოს ომთან დაკავშირებით. დღევანდელმა ომმა აჩვენა, რომ რუსეთი არის ოკუპანტი და ის მოქმედებს არა საკუთარი ,,მოქალაქეების" ან ,,დენაციფიკაციის" და ,,დენაციონალიზაციის" წინააღმდეგ, არამედ რუსული იმპერიის აღსადგენად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავსაკვნათ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის განმავლობაში და მის შემდგომაც ცივილიზებულ მსოფლიოში არავის გაუჩნდება აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთს, იმპერიის აღდგენის გარდა, სხვა ,,კეთილი" განზრახვები ამოძრავებს.

ნათელია, რომ რუსეთ-უკარინის ომი დიდ ზიანს აყენებს გლობალურ ეკონომიკასა და საგარეო ვაჭრობას. ეს განსაკუთრებით ისახება საქართველოზე, როგორც რეგიონში მოთამაშე მცირე სახელმწიფოზე. საქართველომ, ამ ომიდან გამომდინარე, მიიღო არცთუ მცირე ზიანი (ეკონომიკური ზიანი გაიზრდება ომის პროპორციულად). ეს ფაქტი არ იყო მოულოდნელი საქართველოსთვის, ვინაიდან უკრაინა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია, რუსეთთან კი საგარეო ვაჭრობა გვაქვს, რომელიც ყოველთვის არასტაბილურად ხასიათდებოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო ათწლეულია, რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი პარტნიორია 10.2 % წილით (2021 წლის მონაცემები).[2]

ომის გავლენით ეკონომიკური ზიანი აისახა რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის მნიშვნელოვანია ფასების ზრდა სანედლეულო საქონელზე (ომის გაგრძელის პირობებში კიდევ უფრო გაიზრდება). ასევე, მოცემული ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადისა და ფულადი გზავნილების შემცირება. რუსეთ-უკრაინის ომმა გამოიწვია, ასევე, ექსპორტის მკვეთრი შემცირება უკრაინიდან, კერძოდ, ბევრი სამომხმარებლო საქონელი საერთოდ არაღ შემოდის, მათ შორის თამბაქო დახორბალი.[3]

ასევე, მნიშვნელოვანია, ვახსენოთ მსოფლიოს მხრიდან რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები და საქართველო. თბილისი არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს, რამაც გამოიწვია უკრაინის მთავრობისა თუ საზოგადოების გულისწყრომა და კრიტიკის საგნად იქცა, თუმცა ამის ფონზე არავის არ გახსენებია (ან ,,ვერ გაახსენდა"), რომ საქართველოს 2008 წლის ომის შემდგომ სამთავრობო დონეზე არანაირი ოფიციალური ურთიერთობა არ აქვს რუსეთთან, ასევე, არ აქვს პირდაპირი ფრენები მოსკოვსა და თბილისს შორის და რუსეთის მხრიდან მოქმედებს სავიზო რეჟიმი.

მეორე მხრივ, შეგვიძლია ვახსენოთ ის ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც საქართველო რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ იღებს: გაიზარდა შუა აზიიდან მომავალი ტვირთებისა და ენერგომატარებლების ნაკადი საქართველოს გავლითევროპაში, რამაც გაზარდა შემოსავლები საქართველოს ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთ-უკრაინის გავლენით საქართველომ იკისრა ეკონომიკური დერეფნის ფუნქცია და ამის ფონზე გაიზარდა შემოსავლები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეგვიძლია, განვიხილოთ რუსეთ-უკრაინის ომის გავლენების შესახებ, არის ევროპა და მისი ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვება რუსეთისგან. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყანოთ გერმანია, რომელიც დამოკიდებულია რუსეთის გაზზე და მისთვისმნიშვნელოვანია ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვება. აქედან გამომდინარე, ცდილობს, ალტერნატიული ენერგომატარებლების მოპოვებას. ეს შესაძლებელია გახდეს აზერბაიჯანული და ყაზახური საბადოებიდან მოპოვებული წიაღისეული,რომელმაც უ ნ დ ა გაიაროს საქართველოზე. ეს უკვე ნ ა თ ე ლ ს ხდის, რომ საქართველო (იმის მიუხედავად, რომ არის მცირე სახელმწიფო) იძენს უფრო დაუფრო დიდ მნიშვნელობას ევროპისთვის და მის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის.[4] ასევე, ეს მოვლენა კიდევ უფრო მეტად წაადგება ჩვენსენერგეტიკულ პოტენციალს და მივიღებთ უფრო მეტ სარგებელს ქვეყნის ბიუჯეტში.

ასევე, აღნიშვნის ღირსია რუსეთ-უკრაინის ომის გავლენები საინფორმაციო სივრცეზე, რამაც დიდი ზემოქმედება იქონია ქართულ საზოგადოებაზე. ომის დასაწყისიდან ქართული მასმედია თუ ქართული ინტერნეტსივრცე მოიცვა უკრაინის მხარდამჭერმა ლოზუგებმა, განცხადებებმა, საქართველო აქტიურად ჩაერთო უკრაინის მხარდამჭერ ღონისძიებებში. ასევე, ჩატარდა უკრაინის მხარდამჭერი მრავალათასიანი მიტინგები, სადაც პირდაპირი ჩართვით მიმართა უკრაინის პრეზიდენტმა ვლოდიმერ ზელენსკიმ.

1 წამალაშვილი ეკა, რადიო თავისუფლება ტალიავინის კომისიის დასკვნის რუსულ–ქართული ინტერპრეტაციები და ორი სიმართლე. 2 ოქტომბერი, 2009. https://www.radiotavisupleba.ge/a/1841353.ht ml (27.07.2022)

2 უკრაინა-რუსეთის ომის გავლენა საქართველოზე – GALT&TAGGART–ის ორი სცენარი, 2 მარტი, HTTPS:// BUSINESS-PARTNER. GE/EKONOMI KA/UKRAINA-RUSETIS-OMIS-GAVLENA-SAKARTVE LOZE-GALTT AG GARTIS-ORI-STSENARI (27.07.2022)

3 ნამჩავაძე ბესო, რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ეკონომიკაზე? https://forbes.ge/ra-gavlenas-moakhdens-ruseth-ukrainis-omi-saqarthvelos-ekon omikaze/ (29.07.2022)

4 ნეტგაზეტა, ბაქო EU-ს ორჯერ მეტ გაზს მიაწვდის – რას ცვლის ეს ევროპისა და საქართველოსთვის, 18 ივლისი, 2022 https://netgazeti.ge/business/621488/ (26.07.2022)

საინტერესოა ასევე რუსეთის მხრიდან მომდინარე საინფორმაციო კამპანია, რომელიც ცდილობს, კეთილგანწყობა მოიპოვოს ქართული საზოგადოების მხრიდან და არ იშურებს რუსული ნარატივებით გაჯერებულ ინფორმაციას. ასევე, საინფორმაციო კონტექსტში უნდა განვიხილოთ ის ფაქტიც, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისიდანვე საინფორმაციო ველი გაჯერებული იყო საქართველოსთვის განკუთვნილი მოწოდებებით, რომლებშიც აშკარად იკითხებოდა, რომ უკრაინელი პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი დაინტერესებული იყო იმით, რომ საქართველოც ჩაბმულიყო ომში და აღედგინა ტერიტორიული მთლიანობა. ასევე, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საინფორმაციო კამპანიის შედეგად მთელი საქართველოს დიდ თუ პატარა ქალაქში - ყველგან წააწყდებით უკრაინის მხარდამჭერ ლოზუნგებსა და დროშებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელზედაც გავლენა იქონია რუსეთ-უკრაინის ომმა, არის სამხედრო სფერო. ეს აუცილებელი და კრიტიკულად მნიშვნელოვანი მიმართულებაა, თანაც იმის ფონზე, რომ ჩვენ და უკრაინას გვყავს საერთო მტერი, რომელსაც გააჩნია ერთი სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა. რუსეთის აგრესიამ უკრაინაში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თბილისის სწრაფვა ევროატლანტიკურ ოჯახში გასაწევრიანებლად არ არის ცუდი არჩევანი. ასევე, ომის მსვლელობამ ნათლად დაგვანახვა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ზუსტი დამიზნების საარტილერიო სისტემების, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტებისა და დრონების მოქმედებას. ქართულმა მხარემ ჯერ კიდევ ყარაბაღის ომის შემდგომ დაიწყო ასეთ შეიარაღებაზე აქცენტის გაკეთება, აუცილებლობა რომიყო კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთ- უკრაინის ომმა. ასე რომ რუსეთის აგრესიამ უკრაინაში დაგვანახვა, რომ, თუ გვსურს, დავიცვათ ქვეყანა, აუცილებელია, თანამედროვე იარაღით აღვჭურვოთ თავდაცვის ძალები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც უნდა აღვნიშნოთ რუსეთ-უკრაინის ომის მსვლელობისას, არის მონაწილეობა ქართველი მოხალისეებისა, რომელთა შემადგენლობა რამდენიმე ათასს აღემატება. ეს ნათლად მეტყველებს, თუ რამხელა გავლენა იქონია ამ კონფლიქტმა საქართველოზე და როგორი დიდია უკრაინის მხარდაჭერა ქართულისაზოგადოების მხრიდან. ამ მხრივაც საქართველო არის მოწინავე ქვეყანა და მნიშვნელოვანი სამხედრო მოხალისეთა ძალის კონტრიბუტორი რუსეთ-უკრაინისომში.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა განხილულმა საკითხებმა ეკონომიკაში, საინფორმაციო სივრცეში, პოლიტიკა/დიპლომატიაში და სამხედრო სფეროში დიდ გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის რეალობაზე და ბევრ საკითხებზე ჩაგვაფიქრა. ახლა დროა, სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ: შემუშავდეს პრაგმატული პოლიტიკა, რათა არ ჩაებას ჩვენი ქვეყანა ამ კონფლიქტში. ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებას შევხვდეთ მომზადებული, რათა არ დავაზიანოთ ჩვენი ქვეყნის ინტერესები და დავრჩეთ ცივილიზებული მსოფლიოს მხარეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- წამალაშვილი ეკა, რადიო თავისუფლება ტალიავინის კომისიის დასკვნის რუსულ–ქართული ინტერპრეტაციები და ორი სიმართლე ოქტომბერი 02, 2009 https://www.radiotavisupleba.ge/a/1841353.html (27.07.2022)
- კანდელაკი სალომე, საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტი. ომი უკრაინაში: საქართველო-მოლდოვის ერთი მიდგომა, ორი განსხვავებული შედეგი, 19 მარტი, 2022. https://gip.ge/ka/ (27.07.2022)
- HTTPS://BUSINESS-PARTNER.GE/EKONOMIKA/UKRAINA-RUSETIS-OMIS-GAVLENA-SAKART-VELOZE-GALTTAGGARTIS-ORI-STSENARI (28.07.2022)
- ნამჩავაძე ბესო, რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს
- ეკონომიკაზე? https://forbes.ge/ra-gavlenas-moakhdens-ruseth-ukrainis-omi-saqarthvelos- ekon omikaze/ (29.07.2022)
- კახიშვილი ნინო, ომი უკრაინაში და მისი ნეგატიური გავლენა საქართველოს კონფლიქტებზე, 9 მაისი 2022. https://netgazeti.ge/south_caucasus/609460/ (29.07.2022)
- კომერსანტი, 2022 წელს აზერბაიჯანი იტალიას საქართველოს გავლით 9,5 მლრდ კუბურ მეტრ გაზს მიაწვდის https://commersant.ge/ge/post/2022-wels- azerbaidjani-italias-95-mlrd-kubur-metr-gazs-miaw-vdis (26.07.2022)
- ნეტგაზეტა, ბაქო EU-ს ორჯერ მეტ გაზს მიაწვდის – რას ცვლის ეს ევროპისა და საქართველოსთვის, 18 ივლისი, 2022 https://netgazeti.ge/business/621488/ (26.07.2022)

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მნიშვნელობა შავი ზღვის რეგიონისთვის

ისმაილ აგაჯანოვი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა
ნატალი აბესაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

აბსტრაქტი

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების რთული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი კონფლიქტი გვესახება როგორც მორიგი კეთილდღეობის შემლახავი მოვლენა. ზემოხსენებული კონფლიქტის ისტორია უმეტესწილად მოიაზრებს ყარაბაღის საკამათო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ შეჯახებების გრძელვადიანობას, რაც მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან მიმდინარეობს და მძაფრდება სსრკ-ს დაშლის შედეგად. სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის მოცემულობაში ისახება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სხვადასხვაგვარი ჩარევები, რაც მიგვითითებს ამ ორი ქვეყნის შორის არსებული დაძაბულობის უაღრესად მაღალ მნიშვნელობაზე. რუსეთ-უკრაინის ომის მსგავსად, მიუხედავად მასშტაბის ნაკლებობისა, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი საფრთხეში აგდებს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას, რადგან სხვა სახელმწიფოების ჩარევის ალბათობა საკმაოდ მაღალია. აზერბაიჯანის ისტორიული მოკავშირე არის თურქეთი, რომლის მთავრობამ არაერთხელ აღნიშნა თავისი მოძმე ერისადმი დახმარების გაწევის გარდაუვლობაზე. თავის მხრივ, სომხეთის საგარეო საქმეებში უდიდეს როლს თამაშობს რუსეთის ფედერაცია. ნაშრომი შეეხება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მნიშვნელობასა და განვითარების პერსპექტივებს, შავი ზღვის რეგიონთან მიმართებაში.

სტატიაში განხილული იქნება სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის ისტორიული კონტექსტი, ისევე როგორც დღევანდელი პოლიტიკური ვითარება.

საკვანძო სიტყვები:
კონფლიქტი, პერსპექტივები, ყარაბაღი, შავი ზღვის რეგიონი, ანალიზი.

Significance of the Armenia-Azerbaijan Conflict for the Black Sea Region

Ismail Agajanov
Natali Abesadze
International Black Sea University
Department of Social Sciences, Humanities and Education
International Relations Program

Abstract

Given the complex political situation of the countries within the Black Sea region, the new conflict between Armenia and Azerbaijan appears as an incident having a negative effect on the welfare. The history of the above-mentioned conflict largely includes the long-term contradiction over the disputed territory of Karabakh and its surroundings that has been going on since the mid-nineteenth century, being intensified as a result of the collapse of the USSR. Various interventions of the world's leading powers are observed in the context of the Armenia-Azerbaijan relations, indicating the extremely high level of tension between these two countries. Similar to the Russia-Ukraine war, but with the lack of scale, the Armenia-Azerbaijan conflict threatens the security of the Black Sea region since the probability of intervention by the other states is quite high. Turkey is the historical ally for Azerbaijan whose government has repeatedly mentioned the inevitability of providing assistance to its brother nation. The Russian Federation in itself plays the biggest role in the Armenian foreign affairs. The present paper deals with the importance and development opportunities of the Armenia-Azerbaijan conflict in relation to the Black Sea Region.

The article also discusses the historical background of the Armenia-Azerbaijan relations as well as the political situation for the present.

Keywords:
conflict, Karabakh, the Black Sea region, analysis

შესავალი

2022 წლის მოვლენები სისხლიანი კვალის სახით შემორჩება მსოფლიო ისტორიის კონტექსტს, ისევე როგორც მრავალი ადამიანის გულსა და მოგონებებს. რუსეთ-უკრაინის ომის სახით მსოფლიომ მიიღო 21-ე საუკუნის ყველაზე მასშტაბური სამხედრო დაპირისპირება(სხვა ქვეყნების პირდაპირი ან ირიბი ჩარევიდან გამომდინარე), რომელმაც არსებითი ცვლილებები შეიტანა მრავალი სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრატეგიებსა და დიპლომატიურ ურთიერთობებში. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი აქვს ზემოხსენებულ კონფლიქტზე, სომხეთ-აზერბაიჯანის მორიგი დაპირისპირება ერთგვარ მეორეხარისხოვან მოვლენად ითვლება, რაც უაღრესად ზედაპირული შეფასებაა. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისთვის სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამწვავება ფატალური შედეგების მომტანი იქნება.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან დღემდე(2022), სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის გარშემო წარმოადგენს კავკასიისა და სრულიად შავი ზღვის რეგიონის გრძელვადიან თავის ტკივილს, რომელიც კვლავ ახალ ეტაპზე გადადის. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის არსი ისახება წარსულში დაწყებულ ტერიტორიულ დაპირისპირებაში, რომლის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვოდათ სხვა წამყვან სახელმწიფოებს, რადგან რეგიონალური მოთამაშეებისთვის კავკასიის რეგიონი ყოველთვის ითვლებოდა გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური მნიშვნელობის ტერიტორიად. კონფლიქტის ხელშემწყობი ფაქტორები იკვეთება 1826 – 1828 წლების რუსეთ-ირანის ომში, რომლის შედეგი ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის(მთიანი ყარაბაღის რეგიონის ჩათვლით) მიერთებას, სადაც სომხების დიდი დაჯგუფებები დასახლდა. მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტისა, სომხეთ-აზერბაიჯანის ტერიტორიული კონფლიქტის საწყის ფაზად ითვლება 1987-1988 წლები, როდესაც სომეხმა ნაციონალისტებმა მოითხოვეს მთიანი ყარაბაღისთვის ავტონომიური სტატუსის მინიჭება.1

1994 წლის მაისის შემდეგ, როდესაც ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის სამმხრივ შეთანხმებას, ერევნისა და სტეფანაკერტის მიერ, მხარეებს შორის არაერთი მცირე შეტაკება ვლინდებოდა. ზემოხსენებულის ესკალაციის დონემ მწვერვალს 2020 წელს მიაღწია, როდესაც მხარეებმა შეჯახებები ომში გადაზარდეს. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას, ისევე როგორც კონკრეტულად საქართველოს კეთილდღეობას საფრთხე ემუქრებოდა. 2020 წლის კონფლიქტის შედეგი გრძელვადიანი მშვიდობის მომტანი არ გახდა სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, რაც აისახა 2022 წლის სექტემბრის მოვლენებზე. ახალი დაძაბულობის ინიციატორად ორი სახელმწიფო ერთმანეთს აბრალებს.

მეთოდოლოგია

ნაშრომის მიზანია შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების პერსპექტივების გაანალიზება და რეგიონის გეოპოლიტიკური მოთამაშეების სტრატეგიის ახსნა სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი შეტაკებების გათვალისწინებით. კვლევისთვის გამოყენებული იყო სხვადასხვა თანამდებობაზე მყოფი საჯარო პირების დებულებები და გამონათქვამები(ქვეყნის პრეზიდენტები, პოლიტიკური პირები, ჟურნალისტები), ამასთანავე სტატიები და ჟურნალები სხვადასხვა ქვეყნიდან.

კვლევის ფუნდამენტური კითხვებია:

როგორ ცვლილებას განიცდის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამწვავებისა და ომის ფაზაში გადასვლის შემთხვევაში?

როგორ შეიცვლება შავი ზღვის რეგიონის წამყვანი ქვეყნების გავლენა კავკასიასა და მეზობელ სახელმწიფოებზე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში?

რამდენად მნიშვნელოვანი იქნება რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მიმდინარეობაზე?

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გათვალისწინებით

კვლევის ერთ-ერთი პუნქტი საქართველოს, როგორც შავი ზღვის რეგიონის წევრს, დავუთმეთ, კონკრეტულად კი მის ეკონომიკურ ცვლილებსა და პერსპექტივებს სომხეთ-აზერბაიჯანის ტერიტორიული ომის შემთხვევაში. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები დიდადაა დამოკიდებული იმაზე, გაგრძელდება თუ არა კონფლიქტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. როგორც

1 შაფიევი და ჰუსეინოვი, ”peace Negotiations Cannot Be Held Forever: Breaking the Deadlock in the Armenia-Azerbaijan Conflict”, Insight Turkey, 2020, 100 . https://www.researchgate.net/publication/346786399_Peace_Negotiations_Cannot_Be_Held_Forever_Breaking_the_Deadlock_in_the_Armenia-Azerbaijan_Conflict

ცნობილია, ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო ფართოდ არის დაკავშირებული აზერბაიჯანთან და წარმოადგენს მის სტრატეგიულ მოკავშირეს. საქართველოს ბუნებრივი აირის 95% აზერბაიჯანიდან მოდის. 2020 წლის კონფლიქტის მიმდინარეობისას ექსპერტებსა და ჟურნალისტებს შორის იგრძნობოდა შფოთვა, რადგან ეკონომიკური მდგომარეობა საფრთხის ქვეშ იყო. „თუ კონფლიქტი გამწვავდება ან გაჭიანურდება, პრობლემები შეექმნება საქართველოს ენერგომომარაგებას, ისევე როგორც, ნავთობისა და გაზსადენების უსაფრთხოებას.“2 (ზ.ანჯაფარიძე, 2020) „ზემოაღნიშნული კონფლიქტის გარდა, საქართველო ისედაც დგას ეკონომიკური კრიზისის წინაშე, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს კონფლიქტები მის სამხრეთში, რუსეთთან ისედაც დაძაბული სიტუაციის მიუხედავად.“ 3

აზერბაიჯანის გარდა, საქართველოს ეკონომიკა მრავალი წლის განმავლობაში არის დამოკიდებული რუსეთზე. რუსეთში ექსპორტის მაჩვენებელი 2021 წლის მონაცემებით 610 მილიონი დოლარის მაჩვენებელს აღწევდა. ზემოხსენებული სტატისტიკა 2022 წლის მაჩვენებლისგან არსებითად განსხვავდება, რადგან რუსეთ-უკრაინის ომისა და რუსეთზე სანქციების დაწესების შედეგად მრავალ კომპანიასთან თანამშრომლობა შეწყდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ეკონომიკურ მდგომარეობას. ზემოხსენებულის გათვალიწინებით, აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორედ აზერბაიჯანი ითვლება საქართველოს უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორად. აზერბაიჯანი საქართველოს არა მხოლოდ მეგობარი და მეზობელი სახელმწიფოა, არამედ ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, ჩვენი ქვეყნის მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი. რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან ვაფასებთ ორმხრივ ურთიერთობებს. თანამშრომლობა ვითარდება ვაჭრობის, ეკონომიკის, მიმართულებით. ინვესტიციების კუთხით, აზერბაიჯანი, რამდენიმე წელია, გამოკვეთილი ლიდერია, ჩვენს ქვეყანაში.4 სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი კოფლიქტის არსებითმა გამწვავებამ შესაძლოა ფატალური შედეგი მიაყენოს საქართველოს მდგომარეობას. შავი ზღვის რეგიონი გადავა ქაოტურ ფაზაში, რომლის მახლობლადაც ორი ომი მიმდინარეობს. მოწინავე სახელმწიფოები ისარგებლებენ ომიანობით და თავისი გეოპოლიტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შეეცდებიან, საქართველო კი ამ დაძაბულობის უდანაშაულო მსხვერპლად იქცევა.

შავი ზღვის რეგიონის წამყვანი ქვეყნების გავლენა კავკასიასა და მეზობელ სახელმწიფოებზე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მიმდინარეობისას

შავი ზღვის რეგიონისა და კავკასიის ქვეყნების გეოპოლიტიკური მდგომარეობა დამოკიდებულია რეგიონის წამყვანი სახელმწიფოების ინტერესებზე, რაც ვლინდება 2020 წლის ომის მაგალითზე, რომელმაც გამოავლინა შავი ზღვის რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოების პოლიტიკური პოზიციები და მიდრეკილებები. ერთი შეხედვით, კონფლიქტის პოლიტიკური არსი მარტივად ამოსაცნობია - აზერბაიჯანს, რომელსაც მხარს უჭერს თურქეთი, სურს დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება, რასაც ეწინააღმდეგება სომხეთი, რომლის მოკავშირე რუსეთის ფედერაციაა. კონფლიქტის სიღრმისეული ანალიზისას ვლინდება ფაქტები, რომლებსაც მრავალი სადისკუსიო კითხვა მოყვება. მნიშვნელოვანია გავამახვილოთ ყურადღება 2020 წლის ომში ირიბად მონაწილე ქვეყნების მოქმედებებზე. შეიარაღებული შეტაკებების მიმდინარეობისას რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოებიდან კონკრეტული და მყარი პოზიცია ეკავა მხოლოდ თურქეთს, რომელიც აზერბაიჯანის ისტორიულ მოკავშირედ ითვლება და ანტისომხური გეზი ეკავა. თურქეთისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციის პოზიცია უფრო ბუნდოვანი იყო - ერთი შეხედვით, სომხეთი, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრია, რუსეთის სტრატეგიული მოკავშირეა, მხარეები ვალდებულები არიან დახმარება გაუწიონ ერთმანეთს ომიანობის შემთხვევაში, მაგრამ რუსეთის დამატებითი მოტივი გულისხმობს რეგიონში გავლენის გაზრდას, სწორედ ეს ფაქტორი უბიძგებს რუსეთს დაიჭიროს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი და პრაგმატული პოზიცია. 2020 წლის კონფლიქტის უმთავრესი შედეგი არა აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის პირველი ომის დროს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაა, არამედ რუსეთის გავლენის გაზრდა კავკასიაში, რომელმაც ამ გავლენისთვის ბრძოლაში დაამარცხა თურქეთი. 2020 წლის კონფლიქტის დასრულება სწორედ რუსეთის ნაკარნახევი აღმოჩნდა. როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულებისა, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრებზე 2022 წლის სექტემბერს შეტაკებები დაიწყო. ამჟამინდელი მდგომარეობა რეგიონში გავლენისთვის ბრძოლის ახალ ეტაპს აძლევს

2 Zaal Anjafaridze “How the Armenian-Azerbaijani Conflict Could Affect Georgia”, The Jamestown Foundation,2020.
https://jamestown.org/program/how-the-armenian-azerbaijani-conflict-could-affect-georgia/

3 Alexander Scrivener, “Armenia-Azerbaijan conflict, the risks for Georgia”, Osservatorio Balconi Caucaso Transeuropa, 2020.
https://www.balcanicaucaso.org/eng/Areas/Georgia/Armenia-Azerbaijan-conflict-the-risks-for-Georgia-205802

4 Irakli Garibashvili, “საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების ხელმძღვანელობით, მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართა”, Imedi News, 2021.
https://imedinews.ge/ge/politika/220403/saqartvelosa-da-azerbaijanis-respublikis-premierministrebis-khelmdzgvanelobit-mtavrobatashorisi-ekonomikuri-komisiis-skhdoma-gaimarta

ბიძგს, რადგან რუსეთის ფედერაცია ჩაბმულია გრძელვადიან ომში და ეყოფა თუ არა მას რესურსები თავისი გავლენისა და სამხედრო ძალის ორ ფრონტზე გასავრცობად, არის სადავო საკითხი. თავის მხრივ, თურქეთი, რომელიც 2020 წლის ყარაბაღის ომის მიმდინარეობისას კავკასიაში გავლენის გავრცელების კუთხით, რუსეთის ფედერაციას დიდი კონკურენცია გაუწია და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს არაერთგვაროვანი პოზიცია დაიკავა, შეეცდება რეგიონში თავისი ძალაუფლების გაზრდას. თურქეთი თავისი პოლიტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ცდილობს კონკრეტიკამდე არ მიიყვანოს თავისი პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით, მაგრამ ,ამავდროულად, არ იფუჭებს ურთიერთობას ევროკავშირთან. რუსეთ-უკრაინის ომისა და სომხეთ-აზერბაიჯანის შეტაკებების პერსპექტივების გათვალისწინებით, შავი ზღვის რეგიონი დაძაბულობის პიკს აღწევს, რაც შესაძლოა გადაიზარდოს სხვადასხვა სახის პოლიტიკურ კონფლიქტებში. თურქეთის მიზანი იქნება რეგიონში თავისი გავლენის გაზრდა, რადგან რუსეთის ფედერაციას შესაძლოა არ ჰქონდეს საშუალება მიაღწიოს სათანადო ყურადღება რეგიონალური პოლიტიკის დეტალებს და უშუალოდ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს, რომლის მთავარი შუამავლის სტატუსის მორგებას სწორედ თურქეთი შეეცდება. „მიუღებლად მიგვაჩნია ის ვითარება, რომელიც შეიქმნა სომხეთის მიერ ომის შემდეგ მიღწეული შეთანხმების დარღვევის შედეგად [2020 წლის შემოდგომაზე] <...> ვიმედოვნებთ, რომ სომხეთი რაც შეიძლება მალე გადაუხვევს ამ მცდარ გზას და წარმართავს თავის მშვიდობის განმტკიცების მცდელობები“.5

საქართველოს პოზიცია სრულიად ნეიტრალურია, რაც გასაგებია, რადგან კონფლიქტის ომში გადაზრდა წამყვანი სახელმწიფოების ჩარევას ნიშნავს, რასაც საქართველოს პოლიტიკური აყოლიება და ერთგვარი „ჩაყლაპვა“ მოყვება

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის მიმდინარეობაზე

გასათვალისწინებელია მსოფლიოში მიმდინარე სხვა მოვლენებიც, რომლებსაც შესაძლოა დიდი გავლენა ჰქონეთ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზე. დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც 2022 წლის თებერვალში დაიწყო და დღემდე არ შეჩერებულა. უკრაინაში რუსეთის შეჭრამ უდავოდ იქონია გავლენა მთიან ყარაბაღში არსებულ ვითარებაზე. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აზერბაიჯანმა წამოიწყო თავდასხმების ეს სერია, რათა გამოეცადა რუსეთის უნარი და სურვილი გამოსულიყო სომხეთის დასაცავად. აზერბაიჯანი თვლის, რომ რუსეთი ზედმეტად ჩაძირულია უკრაინაში და ეჭვი აქვთ სურდეს წინააღმდეგობის გაწევა აზერბაიჯანის თავდასხმებზე. თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა6 (2022) აღნიშნა, რომ მოსკოვს აქვს საკმარისი რესურსი სომხეთ-აზერბაიჯანთან საშუამავლოდ. ამავდროულად აზერბაიჯანი გარკვეულწილად შეიძლება მართალიც იყოს, თუმცა, ეს უფრო ფსიქოლოგიურ ხრიკს ჰგავს. უკრაინის ომმა აჩვენა რომ რუსეთი არ ფლობს უაღრესად ძლიერ სამხედრო ძალას, რადგან რუსეთი ხარკოვსა და ხერსონში უკრაინული კონტრშეტევებისგან თავის დასაცავად იბრძვის, ნამდვილად საეჭვოა, რომ რუსეთს შეეძლოს არსებითი სამხედრო ცვლილებების განხორციელება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა უდიდესი გავლენა მოახდინა კონფლიქტის შინაარსზე, აზერბაიჯანში ეს მდგომარეობა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს, როგორიც შესაძლოა აღარ ჰქონდეთ, რუსეთი ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს (სომხეთის) სრულ უსაფრთხოებას.7

დასკვნა

სომხეთ-აზერბაიჯანის ახალი კონფლიქტი შავი ზღვის რეგიონში არსებული დაძაბულობის მორიგი შემოქმედია, მაგრამ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, გლობალური გაგებით, ამ კონფლიქტს უფრო თანაშემოქმედის სტატუსი ენიჭება. ზემოხსენებული დახასიათება შესაძლოა გამართლებულია გლობალური კუთხით, მაგრამ სომხეთ-აზერბაიჯანის პოტენციური ომი პერსპექტივაში შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისთვის ფატალური შედეგის მომტანი იქნება. ორი კავკასიური ქვეყნის კონფლიქტი დიდი მოთამაშეებისთვის თავისთვის უსაფრთხო მოქმედების არეალს წარმოადგენს, სწორედ

5 რეჯეფ თაიფ ერდოღანი “Эрдоган пожелал Армении свернуть с неправильного пути”, RBC News, 2022. https://www.rbc.ru/politics/14/09/2022/6321f69e9a794713c3be353e

6 ვლადიმერ პუტინი, „Putin says Russia able to mediate in Azeri-Armenian conflict; Yerevan unhappy with Moscow“, Reuters, 2022. https://www.reuters.com/world/asia-pacific/putin-says-russia-able-mediate-azeri-armenian-conflict-yerevan-unhappy-with-2022-09-16/

7 ჰრანტ მიქაელანი, „Стоит ли ждать новой большой войны Армении и Азербайджана? И может ли карабахский конфликт вообще когда-нибудь закончиться миром? Отвечают политологи из Баку и Еревана“, Meduza, 2022. https://meduza.io/feature/2022/09/25/stoit-li-zhdat-novoy-bolshoy-voyny-armenii-i-azerbaydzhana-i-mozhet-li-karabahskiy-konflikt-voobsche-kogda-nibud-zakonchitsya-mirom

გავლენისთვის ბრძოლის ფაქტორსა და წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკურ უთანხმოებას აქვს გადამწყვეტი როლი რეგიონის ბედის კონტექსტში. აზერბაიჯანს, რომელსაც თავისი გეოპოლიტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ხელს უშლიდა რუსეთის ფედერაცია, ამჟამინდელი სიტუაციიდან გამომდინარე აქვს ხელსაყრელი პოზიცია უკრაინაში სიტუაციის გათვალისწინებით.

მიუხედავად პუტინის განცხადებებისა, რომ რუსეთს ყოფნის სამხედრო და პოლიტიკური ძალა მრავალ ფრონტზე მოქმედებების საწარმოოდ, რეგიონის ქვეყნები დარწმუნებულები არიან საპირისპიროში. აზერბაიჯანის მიერ ომის გამწვავება გულისხმობს თურქეთის ჩაბმას, რომელიც ასევე იხელთებს დროს რუსეთის წინააღმდეგ გავლენისთვის ბრძოლის საწარმოოდ. სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების გეზიც უმეტესწილად არის კონცენტრირებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტზე, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანის სიტუაციასთან დაკავშირებით ნატო და ევროკავშირი სტანდარტულ, სამშვიდობო მიწოდებებს ავრცელებენ. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ბედი დამოკიდებულია წამყვანი სახელმწიფოების მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებზე. კონფლიქტის გამწვავება ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს, რადგან მხარეები ერთმანეთის პროვოცირებას აგრძელებენ და ორგანიზაციების ჩარევა, როგორც ეს ხშირად ხდება, უშუალოდ ომის დაწყებისა და მრავალი ადამიანის დაღუპვის შემდეგ არის მოსალოდნელი. სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები უნდა ხვდებოდნენ რომ მათ ტერიტორიაზე საომარმა მოქმედებებმა, შესაძლოა ბიძგი მისცენ დიდ სახელმწიფოებს გამოიყენონ მათი ომი, როგორც თავისი პოლიტიკური საზრდო. შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს დიპლომატიური მოლაპარაკებები ორი ქვეყნის შორის, რადგან კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში წამყვანი სახელმწიფოები აზერბაიჯანსა და სომხეთს უფრო ხშირად გამოსაყენებელ მარიონეტებად აქცევენ.

გამოყენებული ლიტერატურა

- Anjaparidze, Z. (2020, October 8). How the Armenian-Azerbaijani Conflict Could Affect Georgia. Retrieved from The Jamestown Foundation: https://jamestown.org/program/how-the-armenian-azerbaijani-conflict-could-affect-georgia/
- Chernishova, E. (2022, september 14). Эрдоган пожелал Армении свернуть с неправильного пути. Retrieved from RBC: https://www.rbc.ru/politics/14/09/2022/6321f69e9a794713c3be353e
- Danforth, N. (2020, December 11). Perspectives | What did Turkey gain from the Armenia-Azerbaijan war? Retrieved from eurasianet: https://eurasianet.org/perspectives-what-did-turkey-gain-from-the-armenia-azerbaijan-war
- Dumoulin, M. (2022, September 22). Russia's indecision: Armenia and Azerbaijan return to violence . Retrieved from European Council On Foreign Relations: https://ecfr.eu/article/russias-indecision-armenia-and-azerbaijan-return-to-violence/
- Glushenko, O. (2022, september 14). Обострение между Арменией и Азербайджаном: Путин заявил о "дополнительных шагах". Retrieved from Украинская Правда: https://www.pravda.com.ua/rus/news/2022/09/14/7367358/
- Isachenko, D. (2020, November 19). Turkey–Russia Partnership in the War over Nagorno-Karabakh. Retrieved from SWP: https://www.swp-berlin.org/en/publication/turkey-russia-partnership-in-the-war-over-nagorno-karabakh
- Keddie, P. (2020, October 30). What's Turkey's role in the Nagorno-Karabakh conflict? Retrieved from Aljazeera: https://www.aljazeera.com/features/2020/10/30/whats-turkeys-role-in-the-nagorno-karabakh-conflict
- Khylko, H. S. (2022, September 29). Security in the Black Sea region after the Russian invasion of Ukraine. Retrieved from New Eastern Europe: https://neweasterneurope.eu/2022/09/29/security-black-sea-ukraine/
- Krikorian, O. J. (2020, October 27). Armenia-Azerbaijan conflict, the risks for Georgia. Retrieved from Osservatorio balcani caucaso transeuropa: https://www.balcanicaucaso.org/eng/Areas/Georgia/Armenia-Azerbaijan-conflict-the-risks-for-Georgia-205802
- Kusa, I. (2022, June 13). Turkey's Goals in the Russia-Ukraine War. Retrieved from Wilson Center: https://www.wilsoncenter.org/blog-post/turkeys-goals-russia-ukraine-war
- Mary Glantz, P. (2022, September 15). Amid Ukraine War, Armenia and Azerbaijan Fighting Risks Broader Conflict. Retrieved from United States Institute Of Peace : https://www.usip.org/publications/2022/09/amid-ukraine-war-armenia-and-azerbaijan-fighting-risks-broader-conflict
- medusa. (2022, september 25). Стоит ли ждать новой большой войны Армении и Азербайджана? И может ли карабахский конфликт вообще когда-нибудь закончиться миром? Отвечают политологи из Баку и Еревана. Retrieved from medusa: https://meduza.io/feature/2022/09/25/stoit-li-zhdat-novoy-bolshoy-voyny-armenii-i-azerbaydzhana-i-mozhet-li-karabahskiy-konflikt-voobsche-kogda-nibud-zakonchitsya-mirom
- mkrtchian, M. (2022, September 12). НАТО призывает к немедленному прекращению боевых действий и срочной деэскалации ситуации на границе Армении и Азербайджана. Retrieved from Arminfo:

https://arminfo.info/full_news.php?id=71320&lang=2
- news, i. (2021, September 29). საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების ხელმძღვანელობით, მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართა. Retrieved from Imedi news: https://imedinews.ge/ge/politika/220403/saqartvelosa-da-azerbaijanis-respublikis-premierminis-trebis-khelmdzgvanelobit-mtavrobatashorisi-ekonomikuri-komisiis-skhdoma-gaimarta
- reuters. (2022, September 17). Putin says Russia able to mediate in Azeri-Armenian conflict; Yerevan unhappy with Moscow. Retrieved from Reuters: https://www.reuters.com/world/asia-pacific/putin-says-russia-able-mediate-azeri-armenian-conflict-yerevan-unhappy-with-2022-09-16/
- Reuters. (2022, September 17). Putin says Russia able to mediate in Azeri-Armenian conflict; Yerevan unhappy with Moscow. Retrieved from Reuters: https://www.reuters.com/world/asia-pacific/putin-says-russia-able-mediate-azeri-armenian-conflict-yerevan-unhappy-with-2022-09-16/
- Shamugia, E. (2021, May 8). სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი - ეკონომიკური მდგომარეობა (მარტი). Retrieved from Bussines Media Georgia: https://bm.ge/ka/article/somxeti-saqartvelo-da-azerbaijani---ekonomikuri-mdgomareoba-marti/82045
- საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები და რუსული კომპანიები საქართველოში. (2022, march 02). Retrieved from საერთაშორისო გამჭვირვალობა: https://www.transparency.ge/ge/post/sakartvelos-ekonomikuri-damokidebuleba-rusetze-vachroba-turizmi-puladi-gzavnilebi-da-rusuli#_edn2

რუსეთის ფედერაციის სტრატეგია და ამოცანები უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ 2022 წლის ომში

ვიცე პოლკოვნიკი ლევანი გოზალიშვილი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
მაგისტრატურა უსაფრთხოების კვლევა

აბსტრაქტი

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს აჩვენოს, თუ რა **ძირითადი შეცდომები იქნა დაშვებული რუსეთის** მიერ შემუშავებულ **სტრატეგიაში უკრაინის წინააღმდეგ** წარმოებულ 2022 წლის ომში. კვლევის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ **რუსეთის ფედერაციის სტრატეგიის მიზნები და ამოცანები არ იყო ოპტიმალურად შემუშავებული და საწყის ეტაპზევე იყო განწირული.** ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ომიდან ნახევარ წელზე მეტია გასული და რუსეთს რაიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზნისთვის ჯერ არ მიუღწევია.

სტატიაში განხილულია, თუ რას შეიძლება მოიცავდეს სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, ესენია: **ეროვნული ინტერესების დაცვა/უსაფრთხოება, სტაბილურობა და კეთილდღეობა.** ასევე აღწერილია თითოეული მიზნის და ამოცანის შემადგენელი კომპონენტები რუსეთის ფედერაციის სტრატეგიის მაგალითზე. ფაქტიურად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციისთვის **უსაფრთხოება, სტაბილურობა და კეთილდღეობა** ომამდეც არ იყო მათთვის პრიორიტეტული სტრატეგიები, ხოლო მითუმეტეს უკრაინასთან ომის შემდეგ, რუსეთის მოსახლეობას გრძელვადიან პერსპექტივაში ზემოთხსენებული ამოცანები და განსაკუთრებით **კეთილდღეობა დიდი ალბათობით მკაფიოდ შემცირდება.**

საბოლოოდ წარმოდგენილია, რუსეთის სტრატეგია, **სტარტეგიის შეფასების 5 ტესტის მიხედვით,** რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: პირველი - **სტრატეგია უნდა იყოს ყველასათვის მისაღები; მეორე - განხორციელებადი,** ეს ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს აბსურდული; მესამე - **გარემოებებთან შესაბამისობაში,** არ უნდა იყოს მოწყვეტილი რეალობას; მეოთხე - **მდგრადი რესურსები/ლიდერები და ხალხის ნება** და ბოლოს მეხუთე - **ადვილად ადაპტირებადი.** შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რუსეთის სტრატეგია გარდა მეხუთე პუნქტის, ყველა ოთხივე პუნქტი არა მიზანმიმართულად იყო გააზრებული.

საკვანძო სიტყვები:
რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, სტრატეგია, სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, სტრატეგიის მახასიათებლები, სტრატეგიის ტესტი.

Strategy and Objectives of the Russian Federation in the 2022 War against Ukraine

Lieutenant Colonel Levan Gozalishvili
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Master's Student in Security Studies

Abstract

The main goal of the article is to show what major mistakes were made in the strategy developed by Russia in the 2022 war against Ukraine. Based on the studies, it can be said that the goals and objectives of the strategy of the Russian Federation were not optimally developed and were doomed to failure at the initial stage. This is confirmed by the fact that more than half a year has passed since the war began and Russia has not achieved any important strategic goal yet.

The article discusses the goals and objectives outlined in the strategy. This includes protection of national interests/security, stability and prosperity. The components of each goal and task are also described on the example of the strategy of the Russian Federation. In fact, it can be said that even before the war, security, stability and well-being were not priority strategies for the Russian Federation. After the war with Ukraine, the above-mentioned tasks, especially the well-being of the Russian population in the long term will most likely be reduced.

Finally, the article presents the strategy of Russia in accordance with 5 strategy evaluation tests, which include the following points: first - the strategy must be acceptable to everyone; second – it must be feasible, that means it should not be absurd; third – it must be consistent with the given circumstances and not detached from reality; fourth – it must include sustainable resources/leaders and people's will; and fifth – it must be easily adaptable. Based on the assessment, it was revealed that in Russia's strategy, except for the fifth point, all four points were not considered purposefully.

Keywords:
the Russian Federation, Ukraine, strategy, strategy goals and objectives, strategy characteristics, strategy test.

,,ყველას აქვს გეგმა მანამ, სანამ სახეში არ დაარტყამენ''
მაიკლ ტაისონი

შესავალი

ვიდრე ვისაუბრებდეთ, რუსეთის ფედერაციის მიერ შემუშავებულ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ომში, განვმარტოთ, თუ რა არის სტრატეგია? სიტყვა სტრატეგია[1] მომდინარეობს ბერძნულიდან და ნიშნავს: stratus - ჯარები და ago - წარმართვა. ეს არის გეგმა, რომელიც პასუხობს მომავლის გამოწვევებს. სიტყვებით რომ ითქვას, სტრატეგია არის გეგმა, რომელიც საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონკრეტული მიზნის მისაღწევად. არ აქვს მნიშვნელობა ეს არის სახელმწიფო, დაწესებულება, ორგანიზაცია თუ ადამიანი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტს, თუ მიზნად აქვს დასახული განვითარება, წარმატება, სამომავლო პერსპექტივები თუ დასახული მიზნის მიღწევა, ამისათვის **საჭიროა მკაფიო, ნათელი, მარტივი სტრატეგიის შემუშავება.**

სტრატეგიის გეგმა/დოკუმენტი ეხმარება დაგეგმარებებს შეიმუშაოს მოქმედებები თუ რა უნდა აკეთოს, ამისთვის უნდა განსაზღვროს სად არის საკუთარი უპირატესობა, როგორ უნდა აკეთო ეს ყველაფერი, რომ იყო განსხვავებული და რაც მთავარია შენი ძლიერი მხარეები მიმართო იქ, სადაც ყველაზე მეტად მომგებიანია შენთვის მოქმედება და ბოლოს, რა შედეგი გინდა, რომ მიიღო [2].[1] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიის მიზნების და ამოცანების შემუშავების დროს საჭიროა უპირველესად განისაზღვროს იდენტობა, იგულისხმება თუ ვინ უნდა იყო ან რა მიზანს გინდა რომ მიაღწიო და მერე, როგორ უნდა მიაღწიო იმას, რაც გაქვს ჩაფიქრებული ან ვინც გინდა რომ იყო. ყველა, ვინც განსაზღვრავს სტრატეგიის მიზნებს და ამოცანებს მას შეეძლება განსაზღვროს მისი რესურსებით ყველაზე ოპტიმალური შედეგის მიღწევა. თუმცა თუ შევხედავთ რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულ ომს უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც თითქმის უკვე 6 თვეა მიმდინარეობს, ასევე თუ გავითვალისწინებთ რუსეთის შესაძლებლობებს და ამას დავამატებთ იმას, რომ რაიმე მნიშვნელოვან მიზნისთვის ჯერ არ მიუღწევია, შეიძლება ითქვას, რომ **რუსეთის ფედერაციის მიერ შემუშავებული სტრატეგიის მიზნები და ამოცანები უკრაინის წინააღმდეგ ომში არ იყო ოპტიმალურად შემუშავებული და საწყის ეტაპზევე დაშვებული იყო მთელი რიგი შეცდომები.** ესეში განვიხილავთ თუ რას მოიცავს სახელმწიფოს დონეზე სტრატეგიის მიზნები და ამოცანები, ასევე რა ძირითადი შეცდომები იქნა დაშვებული, სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების დროს, რუსეთის ფედერაციის მიერ, ომამდე და ომის შემდეგ. სტრატეგიის შეფასება განხორციელდება ,,სტრატეგიის 5 ტესტის მიხედვით".

ძირითადი ნაწილი

სტრატეგიის მიზნები და ამოცანები (სახელმწიფო დონე)

დავიწყოთ იქიდან, თუ რას შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფო დონეზე, სტრატეგიის მიზნები და ამოცანები. ეს შეიძლება ითქვას, რომ არის **ეროვნული ინტერესების დაცვა,** რომელშიც ძირითადად ასახულია **უსაფრთხოება, სტაბილურობა და კეთილდღეობა.**[2] განვიხილოთ თითოეული მათგანი, უსაფრთხოება მოიცავს: პირველი, ეროვნული ფასეულობების და ღირებულებების დაცვას; მეორე, ადამიანების სიცოცხლის, არსებობის და კონსტიტუციური დაცვის უფლებას; მესამე, გარე ძალებისგან დაცვას და უსაფრთხოებას, რათა დაცული იქნას ეროვნული ფასეულობები და ბოლო, ქვეყნის შიგნით ინსტიტუტების შენარჩუნებას და მათი გამართული ფუნქციონირებას, რომლითაც საერთო ჯამში იქმნება ქვეყანაში უსაფრთხოება.

რაც შეეხება სტაბილურობას იგი მოიცავს შემდეგს: სტრატეგიას უნდა შესწევდეს უნარი, გარემო ფაქტორებიდან მომდინარე ცვლილებასთან მარტივი ადაპტირება, რათა აღნიშნულმა ცვლილებებმა არ ჩამოშალოს ქვეყნის სტრუქტურების ქმედითუნარიანობა, ამისათვის ქვეყანა მუდამ უნდა ცდილობდეს რაიმე ახლის ათვისებას, შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს პროპაგანდასთან, ჰიბრიდულ ომთან, ტექნოლოგიებთან და სხვა სიახლეებთან მარტივად ადაპტირება და ბოლოს, ქვეყნის მოსახლეობისთვის

1 1. სტრატეგია (ბერძნული stratus - ჯარები და ago - წარმართვა), სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი, მისი უმაღლესი დარგი. მოიცავს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ომის თავიდან აცილების, აგრესიის მოსაგვარებლად ქვეყნის და შეიარაღებული ძალების მომზადების თეორიასა და პრაქტიკას; სტრატეგიული ოპერაციების და მთლიანად ომის დაგეგმვასა და წარმოებას. სწავლობს და განსაზღვრავს ომების შესაძლო ხასიათს და სამხედრო საშუალებებით მათი თავიდან აცილების გზებს. (ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი; თბილისი, გვ. 503, 2017)

2. ESB-რა არის სტრატეგია/ევროპის ბიზნეს სკოლა/ალექს ჩიქოვანი (2020). https://www.youtube.com/watch?v=aEVhFBWC0aI.

2 აგლაძე ზურაბ, N2 ლექციის მასალებიდან სტრატეგიის შესახებ

თანაბარი შესაძლებლობების მიცემა.

რაც შეეხება მესამე მიზანს კეთილდღეობაა, რომელიც მიზნად ისახავს, სახელმწიფოს უწყვეტ განვითარებას, მდგრადი ეკონომიკურ ზრდას, კომფორტს და სიმდიდრის სამართლიან გადანაწილებას.

სტრატეგიის მიზნები და ამოცანები რუსეთის ფედერაციის მაგალითზე

ზემოთ მოყვანილ სტრატეგიის ამოცანებს და მიზნებს თუ განვიხილავთ რუსეთის მაგალითზე, შესაძლოა ითქვას, რომ ფაქტიურად ომამდე რუსეთის ფედერაციისთვის **უსაფრთხოება, სტაბილურობა და კეთილდღეობა** არ იყო მათთვის პრიორიტეტული სტრატეგიები. მითუმეტეს უკრაინასთან ომის შემდეგ, რუსეთის მოსახლეობას გრძელვადიან პერსპექტივაში ზემოთხსენებული ამოცანები და განსაკუთრებით **კეთილდღეობა მკაფიოდ შემცირდება,** რადგან სახელმწიფო რომელიც უპრეცედენტოდ სანქცირებულია, რთულია ქვეყანამ მოახდინოს უწყვეტი განვითარება და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, ხოლო რაც შეეხება დისკომფორტს სავარაუდოთ მოკლევადიან პერსპექტივაში ნაკლებად იგრძნობს რუსეთის ფედერაციის მოსახლეობა, თუმცა დიდი ალბათობით გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად შეუმცირდებათ კომფორტი. ვინაიდან დასავლეთის გარდა, არასახელმწიფო აქტიორებიც აქტიურად ტოვებენ რუსეთის ფედერაციის ბაზარს[3] მაგალითად, როგორიც არის, მაკდონალდსი, ეიფლი და მრავალი ბრენდული ტექნოლოგიური, თუ სხვა მიმართულების კომპანიები.

ასევე განვიხილოთ, დიქტატორულ ქვეყნების მაგალითი, როგორიც არის რუსეთი, თუ როგორ ფუნქციონირებს სახელმწიფოს სტრუქტურები. აქ შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოს სტრუქტურები ქმედითუნარიანნი არიან, თუმცა განსხვავება არის ის, რომ ქვეყნის განვითარების და უსაფრთხოების ნაცვლად, სტრუქტურების ქმედითუნარიანობა მიმართულია დიქტატორის და მისი ვიწრო გარემოცვის კეთილდღეობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად აქ ასევე დარღვეულია მოსახლეობისთვის **სიმდიდრის თანაბარი შესაძლებლობების გადანაწილება.** ამის ნათელი დასტურია 2020 წელს კვლევითი ცენტრი ,,სტატისტას'' მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც გამოიკვეთა, რომ 20 წელზე მეტი ასაკის 81 მილიონზე მეტ რუსს, ანუ ქვეყნის მთლიანი ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 73 პროცენტს, 2020 წელს 10 ათას აშშ დოლარზე ნაკლები სიმდიდრე ჰქონდა, 26,8 პროცენტს კი 10 ათას აშშ დოლარზე მეტი სიმდიდრე, მხოლოდ 0.2 პროცენტს გააჩნდა 100 ათას აშშ დოლარზე მეტი სიმდიდრე[4] შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის მცირე ნაწილი ცხოვრობს უზრუნველყოფილად, ძირითადად მეგაპოლისებში, ხოლო რაც შეეხება პერიფერიებს მოქალაქეები ძირითადად ცხოვრობს სიღარიბეში, აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის სიმდიდრე არ არის თანაბრად გადანაწილებული.

სტრატეგიის მახასიათებლები

უპირველესად აღსანიშნავია ის, რომ სტრატეგია არ არის პოლიტიკური ნარატივი, როგორც ზურაბ აგლაძე აღნიშნავს - ქვეყანაში, სადაც სტრატეგიის დაგეგმვის კულტურა არ არის დამკვიდრებული და არ ჰყავს სტრატეგიის სპეციალისტები - სტრატეგია მხოლოდ პოლიტიკური ნარატივია, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია ვერ ექნება სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. სტრატეგიის დაგეგმვა არ არის მარტივი და ამისათვის საჭიროა უდიდესი ისტორიული და პრაქტიკული გამოცდილება, რათა სწორად იქნას გაწერილი, თუ რის მიღწევა სურს საბოლოოდ სახელმწიფოს. ამისათვის სტრატეგია უნდა მოიცავდეს **სიცხადეს,** უნდა იყოს, ყველა სოციალური ფენისთვის **მარტივად გასაგები,** რათა ყველა მოქალაქეს ესმოდეს, პირადად მან, თუ რა მოქმედებები უნდა შეასრულოს სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ეს არ არის მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შესასრულებელი გეგმა, თითოეული მოქალაქის ვალია თავისი წვლილი შეიტანოს სტრატეგიის განვითარებასა და განხორციელებაში. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია **პოლიტიკური რეალობის აღქმის შენარჩუნება,** იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკური რეალობის აღქმა იკარგება, სტრატეგიაში შესაძლოა იყოს შეცდომები.

ეხლა განვიხილოთ რუსეთის მაგალითი თუ როდის მოხდა მათ მიერ **პოლიტიკურ რეალობის აღქმის დაკარგვა.** უპირველესად შეიძლება ითქვას, რომ ზემო აღნიშნული ვითარება დაიწყო 2008 წელს, როდესაც რუსეთმა ინტერვენციით საქართველოში, განახორციელა პირველი ტესტი. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, საერთაშორისო სისტემაში რუსეთი, ნაცვლად დასჯისა წახალისდა. 2010 წელს, რუსეთის ინტერვენციიდან ორი წლის შემდეგ, დასავლეთსა და რუსეთის ფედერაციის შორის გაფორმდა ბუნებრივი გაზის მილსადენის ჩრდილოეთ ნაკადი ერთის ხელშეკრულება. ჩრდილოეთ ნაკადი ერთის ბუნებრივი გაზსადენის მშენებლობის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე, არაერთმა დასავლეთის ლიდერმა მადლიერება გამოთქვეს აღნიშნულ პროექტის მნიშვნელობაზე, ასევე რუსეთის ფედერაციასთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე. მაგალითად: იმ პერიოდის ევროკომისარმა ოტინგერმა ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობას ევროპისთვის, როდესაც თქვა: „Nord Stream არის ევროკავშირის პრიორიტეტული ენერგეტიკული პროექტი და მნიშვნელოვანია ევროპული ენერგეტიკული ქსელის შესავსებად". სპეციალურ ვიდეომიმართვაში მაშინდელმა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თქვა: „ჩვენი წილი მიზანი არის ენერგეტიკული პარტნიორობა, რომელიც

3 https://www.statista.com/statistics/482573/russia-population-by-average-wealth/.
BBC News. "Which Companies Are Pulling out of Russia?," March 11, 2022, sec. Business. https://www.bbc.com/news/business-60571133

4 "Russia." Number of adults in Russia in 2020, by wealth range https://www.statista.com/statistics/482573/russia-population-by-average-wealth/

დაფუძნებულია თანასწორობაზე, რომელიც მიმართულია გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს არის ორივე მხარის ბიზნესს თანამშრომლობისა და ზრდის შესაძლებლობების შეთავაზება. სინამდვილეში, Nord Stream ასახავს უზარმაზარ ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც ფესვგადგმულია ასეთ პარტნიორობაში."[5] აღნიშნული ხელშეკრულებით შეიძლება დავასკვნათ, რომ **რუსეთის პირველი ტესტმა წარმატება მოიპოვა საერთაშორისო სისტემაში,** რადგან ინტერვენციას, დასავლეთმა მხოლოდ შეშფოთებით უპასუხა და პირიქით გააღრმავა ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები.

აღნიშნული წარმატება არ დასრულებულა 2008 წელს. რუსეთის ფედერაციის ტესტი გაგრძელდა 2014 წელსაც, როდესაც რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია და დონეცკის და ლუგანსკის ტერიტორიაზე ინტერვენცია. რუსეთი ამ შემთხვევაში, აღმოჩნდა სანქცირებული. მართალია რუსეთს ყირიმის ანექსიაზე დასავლეთმა ეკონომიკური სანქციებით უპასუხა- 2014 წლის ივლისში სანქციები კოორდინირებულად ამოქმედდა ევროკავშირის, შეერთებული შტატების, კანადის და სხვა მოკავშირეებისა და პარტნიორების მიერ.[6] თუმცა, 2015 წლის ივნისში, ყირიმის ანექსიიდან ერთი წლის შემდეგ, ხელი მოეწერა შეთანხმებას Nord Stream 2-ის მშენებლობის შესახებ,[7] აღნიშნული პროექტის ჩართვის შემდეგ, უკრაინას დიდი ალბათობით შეუმცირებს 3 მილიარდ აშშ დოლარამდე წლიურ შემოსავალს, რაც საშუალებას მისცემს რუსეთს გვერდი აუაროს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ევროპაში გაზის გადაცემისას. როგორც ჩანს ამ შემთხვევაშიც, რუსეთის ფედერაცია პოლიტიკურად აღმოჩნდა მომგებიან პოზიციაზე.

სამაგიეროდ სულ სხვა ვითარებაა 2022 წელს. პოლიტიკურ გამარჯვებას მიჩვეული რუსეთის ფედერაცია, 2022 წელს უკრაინაში ინტერვენციის დღიდანვე შეიძლება ითქვას, რომ **ასცდა პოლიტიკურ რეალობას და აღმოჩნდა ჩიხში.** 2022 წლის 24 თებერვალს, რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, თეთრმა სახლმა გამოაცხადა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი რაუნდები[8] როგორც აღინიშნა სანქციების სერიები დაიწყო პირველივე დღიდან და გრძელდება ყოველ დღე, დასვლეთის მხრიდან ახალი სანქციების სერიებით. ეს იქნება Swifti-დან გათიშვა, თუ ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის შეჩერება. ამას ემატება დასავლეთის უპრეცედენტო ერთიანობა და უკრაინის დახმარება როგორც ეკონომიკური კუთხით, ასევე სამხედრო მიმართულებით. ეს კი იწვევს რუსეთის მიერ შემუშავებულ სტრატეგიის მუდამ ცვლას და ახალ რეალობასთან შეგუებას. დიდი ალბათობით სანქციები გაგრძელდება მანამ, სანამ რუსეთის მიერ შემუშავებული სტრატეგია საბოლოოდ არ ჩამოიშლება.

ეხლა განვიხილოთ, თუ რა შეცდომები შეიძლება დაუშვას დიქტატორმა დემოკრატიული სამყაროსთან ბრძოლაში, სტრატეგიის მე-2 ლექციაზე, ზურაბ აგლაძემ აღნიშნა მნიშვნელოვანი განსხვავება ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის, როგორც გამოვლინდა დიქტატორის ყველაზე დიდი სისუსტე არის დრო.

დიქტატორს ყოველთვის დრო აქვს შეზღუდული, ის ადამიანია, ის შეიძლება იყოს ხელისუფლებაში გარკვეული პერიოდი, 10- 20 წელი, თუმცა რაც უფრო ასაკში შედის ის უფრო მკვეთრ ნაბიჯებს დგამს და აგრესიული ხდება, რადგან იცის რომ მისი მართველობის დრო მთავრდება. როგორც წესი დიქტატორები ყველა ტაქტიკურ ბრძოლას იგებენ, იმიტომ, რომ ისინი არა სტრატეგიულად, არამედ ტაქტიკურად აზროვნებენ, ისინი ცდილობენ თავის ცხოვრების პერიოდში მოასწრონ ყველაფერი, შესაძლოა მათ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაგეგმონ სტრატეგიულად 20-25 წლიანი გრძელვადიანი გეგმა, თუმცა შემდეგ ისინი ახდენენ კონსოლიდაციას და 10-15 წლის მერე იწყებენ სწრაფ მოქმედებებს. აღნიშნულის ნათელ მაგალითი წარმოადგენს პუტინი. იგი უკვე 22 წელია ხელისუფლებაშია და მისი მკვეთრი მოქმედებებიც ნათელია. რაც შეეხება დემოკრატიას ეს არის სისტემა, პიროვნებები იცვლებიან და აღნიშნული სისტემა ნელ-ნელე მოძრაობს და არსად არ ეჩქარება, ამიტომ სტრატეგიულად ეს სისტემა ყოველთვის მოგებულია, ტაქტიკურად შეიძლება უგებდეს ყველა ბრძოლას, თუმცა დიქტატორი სტრატეგიულად ომს წააგებს, დიქტატორს მართველობის რაც უფრო ცოტა დრო რჩება, უფრო აგრესიული ხდება და უფრო მეტ შეცდომებს უშვებს, ხოლო სისტემა გამართულად მუშაობს რომელიც შთანთქავს დიქტატორულ რეჟიმს. [9]

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ იგივე მოხდა პუტინის შემთხვევაშიც, მან თავის სიცოცხლეშივე განიზრახა აღედგინა საბჭოთა კავშირი. პუტინმა თითქმის ყველა ბრძოლა მოიგო, ეს იყო 2008 თუ 2014 წელი, თუმცა 2022 წელს მან გადაკვეთა წითელი ხაზი, დაუშვა მთელი რიგი შეცდომები- ეს იქნება ტოტალური ნგრევა უკრაინის ქალაქების, თუ მშვიდობიანი მოსახლეობის მასიურად წამება და განადგურება. ამ ყველაფერს დასავლეთი დიდი ალბათობით უპასუხოდ არ დატოვებს და დასავლეთის სისტემა შთანთქავს პუტინის დიქტატორულ რეჟიმს.

სტრატეგიის 5 ტესტი

რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ ხდება ქვეყნის მიერ შემუშავებული სტრატეგიის შეფასება, შეიძლება ითქვას ამისათვის არსებობს ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: პირველი- სტრატეგია უნდა იყოს **ყველასათვის მისაღები;** მეორე - **განხორციელებადი, ეს ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს <u>აბსურდული;</u>** მესამე - **გარემოებებთან შესაბამისობაში, არ უნდა იყოს მოწყვეტილი რეალობას;** მეოთხე -

5 AG, "'Official Launch of Construction of Nord Stream Natural Gas Pipeline' - Press Releases." https://bit.ly/3MItvn3

6 "Which Companies Are Pulling out of Russia?" https://www.bbc.com/news/business-60571133

7 "Nord Stream 2: Assessing Russia's 'Serious Geopolitical Victory' | Lowy Institute." https://bit.ly/3SatdGE

8 "A Summary of the Latest Sanctions Against Russia." https://bit.ly/3MLmKRi

9 აგლაძე ზურაბ, სტრატეგიის კურსის N2 სალექციო მასალები

მდგრადი რესურსები/ლიდერები და ხალხის ნება და ბოლოს მეხუთე - ადვილად ადაპტირებადი.[10]

რუსეთის სტრატეგიის შეფასება 5 ტესტის მეთოდით

ეხლა შევაფასოთ რუსეთის ფედერაციის მიერ შემუშავებული სტრატეგია, დავიწყოთ პირველი პუნქტი - **მისაღებით.** უკრაინაში ინტერვენცია და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება, დიდი ალბათობით არ იყო მისაღები როგორც რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო მოსახლეობისთვის, ასევ სამხედრო პერსონალისთვის. ვინაიდან უპირველესად თითქმის რუსეთის მოქალაქის უმეტესობა აქვს ნათესაური კავშირი უკრაინის მოსახლეობასთან, ამას ემატება სლავური წარმოშობა, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში ხდებოდა მოტყუებით გაგზავნა რუსი ჯარისკაცების უკრაინის ტერიტორიაზე. ამას ადასტურებს სოციალურ ქსელში გავრცელებული არაერთი ვიდეო სადაც რუსი ჯარისკაცები საუბრობენ თუ როგორ მოტყუებით (სასწავლო მიზნით) აღმოჩნდნენ უკრაინის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მე-2 პუნქტს- **განხორციელებადი.** ვფიქრობ აქაც დაშვებული იყო შეცდომა, რათა 250 000 იანი სამხედრო მოსამსახურის მობილიზება, უკრაინის სახელმწიფოს სრულად ოკუპაციისთვის, არ იყო საკმარისი ძალა, შესაძლოა მათ შეტევას პირველადი ეფექტი ჰქონოდა, (ეგეც იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის მოქალაქეების ნებაზე მოახდენდნენ ზეგავლენას) თუმცა შემდგომი განვითარებისთვის ძალები ნამდვილად არასაკმარისი იქნებოდა. რუსეთმა შეტევა განახორციელა იმ იმედით, რომ უკრაინელი ხალხი წინააღმდეგობას არ გაუწევდა და მათ დახვდებოდნენ ,,ვარდებით ხელში''. რაშიც მათ არ გაუმართლა, უკრაინელი მოსახლეობა გაერთიანდა ყველა ერთად, ოპოზიცია თუ ნეიტრალური საზოგადოება, ყველამ ტოტალურ წინააღმდეგობა გაუწია რუსების აგრესიას. რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა რუსების ჩანაფიქრი - 3 დღეში დედაქალაქის აღება. სავარაუდოთ აღნიშნული ფაქტორის ჩავარდნა მიუთითებს, რუსეთის დაზვერვის სისუსტეს. თითქმის 7 თვეა ინტენსიურად მიმდინარეობს საომარი მოქმედებები. თუმცა ამ ეტაპამდე რუსეთის მიერ სტრატეგიულ მიზნის მიღწევაზე, რომ აღარაფერი ითქვას, ჯერ ვერც ერთი მნიშვნელოვანი ოპერატიული მიზანიც კი ვერ იქნა განხორციელებული.

შემდეგი პუნქტი - **გარემოებასთან შესაბამისი** - ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვან არახელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა რუსეთის ფედერაცია. პირველი, **შეტევისთვის სეზონის დროის პერიოდი არ იყო ოპტიმალურად შერჩეული,** არაერთი ქვიშის რბილ მასაში ჩაძირული და ჩარჩენილი ჯავშან-ტექნიკის კადრი გავრცელდა. მობილურობის დერეფნები იყო მაქსიმალურად შეზღუდული. დაჭაობებული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ჯავშან-ტექნიკას იძულებით უწევდათ კოლონების წყობით, მთავარ გზებზე და მაგისტრალებზე გადაადგილება. აღნიშნული კი უკრაინელებისთვის წარმოადგენს ხელსაყრელ სამიზნეს. რაც შეეხება მეორე ფაქტორს, ასევე არ იქნა რუსეთის მიერ გათვალისწინებული, დასავლეთის უპრეცედენტო კონსოლიდაცია. სავარაუდოთ მათ თავისი სტრატეგია გათვალეს, ისე რომ, ისინი **კიდევ მოახდენდნენ ეკონომიკური ბერკეტებით მანიპულირებას, როგორც რუსეთს მანამდე გამოსდიოდა საუკეთესოდ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.** ფაქტიურად რუსეთი, საერთაშორისო სისტემაში დარჩა მარტო მოკავშირის გარეშე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მარცხია, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა განიცადა პოლიტიკური კრახი.

მეოთხე პუნქტია - **მდგრადი რესურსები/ლიდერობა და ხალხის ნება** - მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის რესურსები არ არის მცირე, მათ ვერ შეძლეს რესურსების სწორედ მიმართვა გადამწყვეტ ოპერაციების უზრუნველსაყოფად. მოხდა ძალების დაქსაქსვა, შესაბამისად მათი რესურსების სიმრავლემ ვერ შექმნა ეფექტი. ამას დაემატა არამოტივირებული დაბალი რგოლის ხელმძღვანელობა, ხშირ შემთხვევაში ხდებოდა მათ მიერ მიტოვება ჯავშან-ტექნიკის, შემდეგ კი დეზერტირობა ან ტყვედ ჩაბარება. დაბალი რგოლის მიერ არაინიცირებულობამ, არამოტივირებულობამ გამოიწვია, რუსეთის არმიის გენერალიტეტის მიერ ბრძოლის მართვის პასუხისმგებლობის თავისთავზე აღება და უშუალოდ ბრძოლის წინა ხაზზე მოქმედებების განხორციელება, მათი ნაწილი ფაქტიურად იქნა ადგილზე ლიკვიდირებული. აღნიშული ფაქტი კი, ასევე უდიდეს ნეგატიურ გავლენას იქონიებდა რუსეთის არმიის შეიარაღებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის, მათ მოტივაციისთვის და ბრძოლისუნარიანობისთვის.

რაც შეეხება ბოლო პუნქტს **ადვილად ადაპტირებადი** - ამ შემთხვევაში ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ მათი სტრატეგიამ რამდენიმეჯერ განიცადა ადაპტაცია. რუსებს მოუწიათ იძულებით არაერთხელ შეეცვალათ გრავიტაციის ცენტრი. ამ ეტაპისთვის, ომიდან ნახევარი წლის შემდეგ, მთელი ძალისხმევა მიმართულია სამხრეთ და აღმოსავლეთი მიმართულებაზე, მანამდე მათ ძირითადი შეტევის ძალისხმევას დედაქალაქი კიევი წარმოადგენდა. რუსეთის მიმდინარე სტრატეგიის მიზანია, უკრაინის შავი ზღვიდან მოწყვეტა, რათა პირველი უკრაინამ დაკარგოს ღირებულება საერთაშორისო სისტემაში და მეორე რუსეთმა დააკავშიროს დნესტრის პირეთში განლაგებული ძალებთან სახმელეთო კავშირი და შეინარჩუნოს დომინანტობა შავი ზღვის რეგიონში. თუმცა დასავლეთი სავარაუდოთ აღარ მისცემს საშუალებას რუსეთმა ენერგორესურსების მანიპულირებით მოახდინოს ზეგავლენა, მათზე და აიძულოს რუსების მოქმედებებისთვის ხელის არ შეშლა.

განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ სავარაუდოთ დასავლეთი წინ აღუდგება რუსეთის ფედერაციას და მათ აღნიშნულ გეგმას. დასავლეთის მიერ გაჟღერებული თითქმის ყველა მესიჯი მიმართულია უკრაინის ხელშეწყობაზე და მათ სამხედრო თუ ეკონომიკური კუთხით დახმარებაზე, რათა უკრაინელებმა შეძლონ, წინ აღუდგნენ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს.

დასკვნის სახით შეიძება ითქვას, რომ სტრატეგია არის გრძელვადიანი მოქმედებები, გეგმები, <u>რომელიც მნიშ</u>ვნელოვანია ეროვნული მიზნის მისაღწევად. მარტივი და ნათელი სტრატეგიის შემუშავება

10 იგივე

ხელს უწყობს ქვეყანას დასახული მიზნის მიღწევაში. სტრატეგიის დაგეგმვის დროს საჭიროა სტრატეგიის მიზნების და ამოცანების სწორედ შემუშავება. მიზანმიმართულია უპირველესად განისაზღვროს იდენტობა და ამის შემდეგ განსაზღვრო, თუ რას გინდა რომ მიაღწიო. ყველა ვინც განსაზღვრავს სტრატეგიის მიზნებს და ამოცანებს მას შეეძლება მიმართოს მისი რესურსებით ყველაზე მომგებიან პოზიციაზე. რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულ ომის განხილვის და შეფასების შემდეგ იკვეთება, რომ მათ რაიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული თუ ოპერატიული მიზნისთვის ჯერ არ მიუღწევიათ, აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული უარყოფითი შედეგი, გამოწვეულია **რუსეთის ფედერაციის მიერ არასწორად შემუშავებული სტრატეგიის საფუძველზე.** აღნიშნულ ფაქტორს ნათლად ადასტურებს სტრატეგიის 5 ტესტის შეფასებაც.

> ,,რაც არ უნდა ლამაზი იყოს სტრატეგია, დროდადრო უნდა შეხედოთ შედეგებს''
> **უინსტონ ჩერჩილი**

გამოყენებული ლიტერატურა

- Pearl Cohen. "A Summary of the Latest Sanctions Against Russia," March 17, 2022. https://www.pearlcohen.com/a-summary-of-the-latest-sanctions-against-russia-2/.
- AG, Nord Stream. "'Official Launch of Construction of Nord Stream Natural Gas Pipeline' - Press Releases." Nord Stream AG. Accessed September 25, 2022. https://www.nord-stream.com/press-info/press-releases/official-launch-of-construction-of-nord-stream-natural-gas-pipeline-363/.
- ESB-რა არის სტრატეგია/ევროპის ბიზნეს სკოლა/ალექს ჩიქოვანი, 2020. https://www.youtube.com/watch?v=aEVhFBWC0aI.
- "Nord Stream 2: Assessing Russia's 'Serious Geopolitical Victory' | Lowy Institute." Accessed September 25, 2022. https://www.lowyinstitute.org/the-interpreter/nord-stream-2-assessing-russia-s-serious-geopolitical-victory.
- Statista. "Russia: Population by Wealth 2020." Accessed September 25, 2022. https://www.statista.com/statistics/482573/russia-population-by-average-wealth/.
- BBC News. "Which Companies Are Pulling out of Russia?," March 11, 2022, sec. Business. https://www.bbc.com/news/business-60571133.
- აგლაძე ზურაბ, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამაგისტრო პროგრამა, სტრატეგიის კურსის ლექცია N 2.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების მიმდინარე გამოწვევები და მომავლის პერსპექტივები

ანა კაშია
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

აბსტრაქტი

2022 წლის მოვლენების გათვალისწინებით, რუსეთის ხისტმა და აგრესიულმა ქმედებებმა უკრაინასთან მიმართებაში, ბოლო პერიოდში კიდევ უფრო აქტუალური გახდა შავი ზღვის რეაგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. ნაშრომში მოცემულია ამჟამინდელი გეოპოლიტიკური მოცემულობა შავი ზღვის სივრცეში, წარმოჩენილია შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების ინტერესები, განხილულია მიმდინარე მოვლენები, პოტენციური და მიმდინარე საფრთხეები, გამოწვევები და მომვლის შესაძლო პერსპექტივები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ მნიშნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: მონტროს კონვენცია, რომელიც შავ ზღვაში სამხედრო წარმომადგენლობას განსაზღვრავს; განხილულია ბოსფორის და დარდანელის სრუტეების კონტროლის მექანიზმები თურქეთის მხრიდან სხვა რეგიონებთან მიმართებაში. ნაშრომში აქცენტი ეთმობა ნატოს ინტერესების გაზრდას შავი ზღვის სივრცეში და ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტების მნიშვნელობას, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური კუთხით.

გარდა ზემო აღნიშნულისა, შევეხებით უსაფრთოების არქიტეტურას შავი ზღვის რეგიონში; ძალათა ბალანსის გადანაწილებას და რთულ მოზაიკას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში; ასევე, საქართველოს უნიკალურ გეოპოლიტიკურ მდებარეობას, როგორც გზაგამტარ დამაკავშირებელ დერეფანს, აზიისა და ევროპის ქვეყნებისთვის.

საკვანძო სიტყვები:
შავი ზღვის რეგიონი, მონტროს კონვენცია

The Current Security Challenges and Future Opportunities of the Black Sea Region

Ana Kashia
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Master's Student in Security Studies

Abstract

Considering events of the year 2022, aggressive and violent actions of Russia towards Ukraine made the matter of Black Sea region security even more important. The paper is a review of the current geopolitical situation in the Black Sea region, including the interests, ongoing events, potential and current threats, challenges and possible future opportunities of the countries within the Black Sea region.

Special attention is paid to the important issues such as the Montreux Convention, which defines the military representation in the Black Sea as well as the control mechanisms of the Bosphorus and Dardanelles Straits by Turkey in relation to other regions. The article focuses on increasing NATO's interests in the Black Sea area and the significance of deep-water sea ports, both from a military and economic point of view.

Besides all of the above, we will assess the Black Sea security architecture, balanced distribution of the forces, complex relations between the countries and unique geopolitical location of Georgia, as a conductive and connective passage between the European and Asian countries.

Keywords:
Black Sea region; Montreux Convention; NATO's interests in Black Sea; Black Sea security architecture

შესავალი

შავი ზღვის რეგიონი, ისტორიის დასაბამიდან მნიშნელოვან როლს ასრულებდა ცივილიზაციებთან ურთიერთობაში. მას ოდითგანვე მოიხსენიებენ, როგორც ორი სამყაროს დამაკავშირებელ დერეფანს. აღნიშნული რეგიონის ქვეყნები (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი, საქართველო) მრავალფეროვანი სიჭრელით ხასიათდება. შავი ზღვის სივრცეს, დამაკავშირებელი ხიდის როლი აქვს, აზიისა და ევროპის ხალხებს შორის და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ასევე ასრულებს და ასრულებდა მთავარი ღერძის ფუნქციას სხვადასხვა სახელმწიფოს ეპიქალურ კავშირში.

ჩემი მხრიდან, აღნიშნული თემის ინტერესი გამოიწვია დღევანდელმა მიმდინარე მსოფლიო პროცესებმა. მიუხედვად იმისა, რომ შავი ზღვის აუზი ყოველთვის იყო აქტუალური მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ასევე ის ყოველთვის მნიშნელოვან სამხედრო და ეკონომიკურ სტრატეგიულ არტერიას წარმოადგენდა მსოფლიოსთვის. კიდევ უფრო განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა ცივი ომის დასრულების შემდეგ, რადგანაც მაშინ მნიშნელოვანი რეგიონალიზაციის ტენდენციების ცვლილებები ხორციელდებოდა. გლობალიზაციის ეს ისტორიული პერიოდი სასიცოცხლოდ მნიშნელოვანი იყო კავკასიის რეგიონისთვის, რადგან შავი ზღვის სივრცე, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარების, უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტორად მოიაზრებოდა. მსოფლიოს პოლიტიკური წრეები აკვირდებოდნენ შავი ზღვის რეაგიონში ძალათა ბალანსის გადანაწილების და გავლენათა სფეროებისთვის ბრძლის პროცესს, რაც ახლაც გრძელდება.

თანამედროვე მსოფლიოში, შავი ზღვის რეგიონი, ისე როგორც არასდროს, გახდა მსხვილი გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის წერტილი, ის ერთდროულად წარმოადგენს, როგორც განვითარების მნიშვნელოვან კონფიგურაციას, ასევე საფრთხის ქვეშ აყენებს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხს.

დღესდღეობით რუსეთის მიერ, ყირიმის ანექსიამ, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი საფრთხის ქვეშ დააყენა, რადგან ცალსახად შეიცვალა ძალათა ბალანსი შავი ზღვის აუზში და მნიშნელოვანი უპირატესობა მიანიჭა რუსეთს, შავ ზღვაზე გავლენების მოსახდენად. თუმცა რუსეთის მიზანი შავი ზღვის რეგიონში მისი ჰეგემონიის მოპოვებისა და უპირატესობის ზრდის პროცესი, ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა და ამით 200 კილომეტრიანი შავი ზღვის მონაკვეთი მიისაკუთრა.

შავი ზღვის რეგიონის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, ის ყოველთვის იყო და იქნება საერთაშორისო ასპარესზე დავის და განხილვის საკითხი. დღეს ამ რეგიონში მნიშნელოვანი გამოწვევების და მისი პრესპექტივების პროცესების თვითმხილველები ვხდებით.

მიმდინარე გამოწვევები და მომავლის პერსპექტივები

გლობალიზაცია - მსოფლიოში სახელმწიფოების ერთმანეთთან თანადამოკიდებულება იზრდება, მითუმეტეს რეგიონის ქვეყნებს აქვთ მჭიდრო კავშირი და ურთიერთ გავლენა ერთი - მეორეზე. ეს ყველაფერი კი იმით აისახება რომ ერთი რეგიონის რომელიმე ქვეყანაში მომხდარი მოვლენა, სწრაფ ზეგავლენას ახდენს, როგოროც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ ჭრილში, მეორე ქვეყნის მდგომარეობაზე.

გლობალიზაციასთან დაკავშირებით, სხვადასხვაგვარი შეხედულება აქვთ მეცნიერებს. მკვლევართა შეხედულებები ამ კომპლექსურ პროცესებზე, შემდეგ მიმართულებებზეა ორიენტირებული: ჩამოყალიბება; გლობალური ფინანსური ტრანსნაციონალური მმართველობის კორპორაციების გლობალიზაცია; ეკონომიკის რეგიონალიზაცია; მსოფლიო ეკონომიკის ინტენციფიკაცია და მსოფლიო ეკონომიკის კონვერგენცია.[1] შავი ზღვის რეგიონს განსაკუთრებული და გამორჩეული გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია. იგი ერთდროულად საზღვრებში აქცევს, როგორც აღმოსავლეთსა და დასავლეთს ისე ჩრდილოეთსა და სამხრეთს. შესაბამისად ლოგიკურია ამ რეგიონით და სივრცით მსოფლიოს დაინტერესება. ევროკავშირისა და ნატოს გაფართოების საკითხმა, დიდი როლი შეასრულა შავი ზღვის რეგიონის, როგორც სატრანზიტო დერეფნის გადაქცევაში. რაც მსოფლიო ეკონომიკური ვაჭრობისთვის უმნიშვნელოვანესია. მაგალითად, აზიიდან წამოსული მთელი რიგი სავაჭრო ტვირთი, ევროპაში მოსახვედრად, შავი ზღვის რეგიონის გავლით გადის.

ნატოს ინტერესების შავ ზღვაში და მონტროს კონვენციის მნიშვნელობა

ჯერ კიდევ 2004 წელს, როდესაც ბულგარეთი და რუმენთი ნატოს ალიანსში გაერთიანდნენ, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხი, ნატოსთვის პრიორიტეტული გახდა. ამას ნატოს წევრი თურქეთის სახლმწიფოც ემატება, რომელსაც განსაკუთრებული როლი აქვს შავი ზღვის სივრცეში,

1 შოთა ვეშაპიძე, ეკა ლეკაშვილი, ამბროსი გრიშიკაშვილი, ნანა ასლამაზიშვილი, მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008, გვ. 129.-

როგორც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მაკონტროლებელი. აღნიშნული სრუტეები აკავშირებს შავ ზღვას ეგეოსის ზღვასთან, შესაბამისად ხმელთაშუა ზღვასთანაც. ამ სრუტეების წყალობით, რუსეთს მხოლოდ ერთი გზა აქვს დაუკავშრდეს ხმელთაშუა ზღვას, შემდეგ კი მსოფლიო ოკეანეებს.

ბოსფორის და დარდანელის სრუტეები

ნატოსთვის შავ ზღვას განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულება აქვს ბევრი ფაქტორის გამო, თუმცა ერთ-ერთი სამხედრო მნიშვნელობისაა. ის ერთდროულად მშვიდობის და სტაბილურობის გარანტორად ევლინება ევროპას და ამავდროულად რუსეთის მოგერიების და სხვადასხვა კონფლიქტების გადაჭრის ფრონტის არეალს წარმოადგენს.

ახლა ყურადღება გავამახვილოთ მონტროს კონვენციაზე. რა არის მონტროს კონვენცია? ,,სრუტეების რეჟიმთან დაკავშირებული მონტროს კონვენცია არის მთავარი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ერთი მხრივ ადასტურებს ანკარის სუვენერიტეტს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე და მეორეს მხრივ, რეგულირებას უწევს სამხედრო გემების გადაადგილებას. ცალსახად, მონტროს კონვენცია, სერიოზულ შეზღუდვებს უწესებს არაშავიზღვის ქვეყნების სამხედრო ძალებს. შესაბამისად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამხედრო მილიტარიზაციის მნიშვნელოვან სტრატეგიულ წილს აკონტროლებს თურქეთის სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე.

ღრმაწყლოვანი პორტების როლი შავ ზღვაში

შავი ზღვის რეგიონის დღის წესრიგზე დიდ გავლენას ახდენს რუსეთ-თურქეთის ამბიციები. ეს ქვეყნები ცდილობენ პირველობის მოპოვებას ამ რეგიონში, ამის გამო ისტორიას მრავალი საომარი მდგომარეობა ახსოვს რუსეთ-თურქეთს შორის. კრემლის სამხედრო ჩარევა 2014 წელს ყირიმშიც, ზუსტად ამას მიუთითებს, თუმცა იქამდე იყო აფხაზეთი.

შავი ზღვის აუზში, მინიმუმ 30-მდე საზღვაო პორტია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის მფლობელობის ქვეშ, უზარმაზარი ტერიტორიის მიუხედავად, მას არ აქვს ნავსადგური რომელიც გავიდოდა მსოფლიო ოკეანეში და რომელიც სეზონების ცვალებადობის მიუხედავად არ გაიყინებოდა. რუსეთი ფლობს პორტებს არქტიკასა და შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ მათი გამოყენება საკმაოდ ძვირი უჯდება, რადგან ყინულის მჭრელი დანადგარი დიდ რესურსებს მოითხოვს, ამ პორტების შენახვა დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რაც არამომგებიანია რუსეთისთვის. რუსეთი ყველანაირად ცდილობს შავ ზღვაზე გავლენების მოპოვებას, სწორედ ამიტომ მისთვის გეოპოლიტიკურად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზოვის ზღვა (რომელიც უკრანიასა და რუსეთს შორის მდებარეობს) მისთვის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიულად მნიშნელოვანი არეალია. აზოვის ზღვა უკავშრდება შავ ზღვას ქერჩის სრუტით, სწორედ ამ ტერიტორიაზე აშენდა 2018 წელს ყირიმის ხიდი, რომლითაც რუსეთი უკავშრდება ყირიმს. ამიტომაცაა რუსეთისთვის ძალზედ მნიშნელოვანია ამ ტერიტორიის კონტროლი. ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთისთვის ყველაზე ხელსაყრელი ობიექტია შავ ზღვაზე. სწორედ ამიტომაც გამოირჩევა განსაკუთრებული ხისტი ნაბიჯებით რუსეთი მაშინ, როცა ვითარება ეხება შავ ზღვას.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სევასტოპოლის პორტზე, რომელიც დიდ როლს ასრულებს შავი ზღვის, როგორც სამხედრო მილიტარიზაციის თვალსაზრისით, ასევე სავაჭრო კუთხით. სევასტოპოლის საზღვაო სავაჭრო პორტი მდებარეობს სევატოპოლის ყურეში და ჰერაკლეს

ნახევარკუნძულის ირგვლივ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პორტის ინფრასტრუქტურა სრულად მორგებულია ქალაქ სევასტოპოლს, რუსეთის საზღვაო ძალებს და შავი ზღვის ფლოტის საზღვაო ბაზებს. სწორედ ერთ-ერთია იმ სამხედრო ბაზათაგან, სევასტოპოლის პორტი, რომელსაც ფლობს რუსეთი, სადაც განთავსებული ჰყავს საბრძლო ხომალდები. შავი ზღვის ფლოტი, მაღალი დონის საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის, ამიტომაც მნიშნელოვანია სანაპირო თავდაცვის სისტემების ქონა საქართველოსთვის.

დასკვნა

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და დღევანდელი საომარი მდგომარეობის გათვალისწინებით, რუსეთ-უკრაინას შორის, მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა გააცნობიეროს ის არსებული გამოწვევები, რომელიც ამჟამად დგას შავი ზღვის რეგიონში. ცალსახად საჭიროა, თანმიმდევრული სტრატეგიული ნაბიჯების შემუშავება რეგიონთან დაკავშრებით, რაც მტკიცე პოლიტიკის ჩამოყალიბებას გულისხმობს. მით უფრო რომ შავი ზღვის რეგიონში ძალათა ბალანსის ახალი გადანაწილდება ახლა ყალიბდებდა, სწორედ ამიტომაა ყველაზე საყურადღებო ახლა ამ პროცესების მიმდინარეობა და სწორი ნაბიჯების შერჩევა.

იმისთვის, რომ ჩვენ შევაფასოთ შავი ზღვის უსაფრთხოების გამოწვევები, მათ შორის საქაერთველოდან გამომდინარე, ამისთვის მოვიშველიებ Scenario Analysis[2]-ს , რათა უფრო ნათლად დავინახოთ შესაძლო შედეგების მოსალოდნელი განვითარების სცენარები. ნათელია, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, შავი ზღვის აუზში, საზღვაო ტრანსპორტისა და საპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის საკითხი ყველა მოსაზღვრე ქვეყნის დღის წერიგში ჩადგა.

რა შესაძლებლობები აქვს ჩვენს ქვეყანას მიმდინარე დაძაბული ომის ფონზე, რუსეთ-უკრაინას შორის და რისი პრესპექტივები გააჩნია ჩვენს ქვეყანას ამ მიმართულებით? პირველი გამოწვევა - ეს არის გეოპოლიტიკური საფრთხეები, რომელიც აფერხებს ინვესტორების მოზიდვას. ეს ხელს გვიშლის სრულად გამოვიყენოთ ის პოტენციალი, რაც გვაქვს, როგორც სატრასპორტო სატვირტო დერეფნის ფუნქციის შესასრულებლად. ამიტომაც მნიშნელოვანია იმდენად მაქსიმალურად შევამციროთ და გავამარტივოთ ბიუროკრაქტიული საკითხები და შევქმნათ კონკრეტული საინვესტიციო პორტფელი ინვესტორებისთის, რათა მეორეხარისხოვანი გავხადოთ და ერთმნიშნელოვნად შევამციროთ გეოპოლიტიკური საფრთხის განმსაზღვრელი ფაქტორები.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მნიშვნელობა - ის პირველი ღრმაწყლოვანი პორტი იქნებოდა საქართველოში, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური ფაქტორის გაუმჯობესებით შემოიფარგლებოდა, არამედ ეს პროექტი დიდი მნიშნელობის იქნებოდა მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის. შავი ზღვის რეგიონში, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არ გააჩნია ღრმაწყლოვანი პორტი, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში არსებული პორტების მიუხედავად, შავ ზღვაში დატვირთული გემების დიდი ნაწილი, ვერ ახერხებს შემოსვლას.



(https://cdn.ambebi.ge/media/specprojects/anakliis_porti/)

2 Scenario Analysis - Scenario analysis is a method for predicting the possible occurrence of an object or the consequences of a situation, assuming that a phenomenon or a trend will be continued in the future (Kishita et al., 2016).

ანაკლიის პორტი მოიცავდა სამ ძირითად მიმართულებას, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშრებული, ეს არის: უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა და რა თქმა უნდა, ეკონომიკური განვითარება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანაკლიის პორტი არამხოლოდ პორტის ფაქტორით შემოიფარგლებოდა, არამედ ის განხილული იყო როგორ ლოჯისტიკური ცენტრის მიმართულებად, თავისი თავისუფალი ეკონომიკური ზონის დამატებით. ამით ჩვენი გეოპოლიტიკური მნიშნელობა ერთი-ორად კიდევ უფრო გაიზრდებოდა და სტრატეგიული თვალსაზრისითაც მეტად საინტერესო ქვეყანად წარმოვჩნდებოდით, მსოფლიო რუკაზე, როგორც დამაკავშრებელი კვანძი ევროპასა და აზიას შორის. ამიტომაც ნიშნელოვანია ამ პროექტის აღდგენითი სამუშაოების დროული შემუშავება, თანაც ხელსაყრელი პერიოდია, რადგან რუსეთის ფაქტორი და გავლენა შესუსტებულია ამ პერიოდში, მიმდინარე პროცესების გამო. ფაქტია, რომ რუსეთს არანაირად არ აწყობდა ამ პორტის არსებობა, რადგან მნიშნელოვან დისკონფორტს შეუქმნიდა ის მას.

რაც შეეხება რუსეთს, ის დაუფარავად და ხისტი ნაბიჯებით ცდილობს შავ ზღვაზე უპირატესობის მოპოვებას და ამის ნათელი მაგალითია უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. აღნიშნული პროცესები მნიშვნელოვან პირდაპირ საფრთხეს უქმნის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამ წევრ სახელმწიფოს: ბულგარეთს, რუმინეთს და თურქეთს. ბოლო პერიოდში, უკრაინის პოზიციები საგრძნობლად გამყარდა და თუ ის მითი დაინგრევა რუსეთის ,,ძლევამოსილება''-სთან დაკავშირებით, თამამად შეგვიძლია უფრო ფართოდ შევხედოთ ამ ასპექტს და უკრაინა არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონში, არამედ ევროპაშიც, ყველაზე კარგად ორგანიზებული, გამოცდილი და მილიტარიზებული სახელმწიფო აღმოჩნდება, შეიცვლება შავი ზღვის აუზის ძალათა ბალანსი და მნიშნელოვანი უპირატესობით მოგვევილენება შავი ზღვის სივრცეში. მაგრამ რამდენად დაუშვებს რუსეთი ამ ფაქტს?! ან თურქეთი რა პოზიციას დაიკავებს ამ მიმართულებით? რუსეთის დამარცხებით ნამდვილად დადგება ის სანატრელი სტაბილური პერიოდი შავი ზღვის სივრცეში?

მიმდინაე განვითარებული მოვლენები დიდ თავსატეხს ქმნის რეგიონისთვის. თუმცა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თუ მიიღებს გაფართოების გადაწყვეტილებას და მისცემს საქართველოს და უკრაინას წევრობის უფლებას, შესაძლებელი გახდება ამ თავსატეხის დალაგება. არაა გამორიცხული, რომ ეს იყოს გამოსავალი და გარანტი, შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობისთვის. ეს საფუძველს ჩაუყრიდა შავი ზღვის სივრცის ჯანსაღ პროცესებს. რეგიონი აღარ იქნება აღქმული, როგორც დაუმთავრებელი კონფლიქტების ცენტრი და პირიქით, ის გარდაიქმნება სტაბილურობის, განვითარებისა და მშვიდობის რეგიონად. შეიცვლებოდა შავი ზღვის კურსი და იქნებოდა ერთიანი და კოლექტიური ისე, როგორც არასდროს. მართალია ესერთ-ერთი პოზიტიური სცენარია, თუმცა ამის შესაძლო მომავალი ახლა ნამდვილად არსებობს.

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი საკითხის და საკვლევი თემის ირგვლივ, შეგროვებული და მოპოვებული მასალების გაანალიზებისა და შეჯამების შედეგად, ჩემი ნაშრომი მოიაზრება, მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის სისტემაში.

შესაბამისად, ძირითადად გამოყენებულია მეორეული სამეცნიერო ლიტერატურული წყაროები, რომელთა კვლევის შედეგების საფუძველზე დაყრდნობით, მოიცავს ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებას, გაანალიზებასა და ურთიერთკავშირის დადგენას, ხოლო მიღებული შედეგების შედეგად, ინდუქციური მეთოდების გამოყენებით, დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება თეორიას, ყველაზე უკეთ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხს ხსნის რეალიზმის თეორია, რომელზეც განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ. ეს თეორია საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დარგში, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორიაა, რომლის მთავარ აზრსაც თვით სახელმწიფო წარმოადგენს, რომლის მიზანიც ეროვნული ინტერესების დაცვაა საერთაშორისო ასპარესზე. სწორედ ამიტომაც, პოლიტიკოსების უმრავლესობა ამ თეორიის მიმდევარია.

გამოყენებული ლიტერატურა

- ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
- სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/ რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]
- CONVENTION CONCERNANT LE REGIME DES DETROITS SIGNEE A MONTREUX LE 20 JUILLET 1936, REPUBLIQUE DE TURQUIE, MINISTERE DES AFFAIRES ETRANGERES, RAPPORT ANNUEL SUR LE MOUVEMENT DES NAVIRES A TRAVERS LES DETROITS TURCS, 2014 78ème année ANKARA, Décembre – 2015, https://www.mfa.gov.tr/site_media/html/montro-bogazlar-raporu-2014.pdf

- Dilek Barlas, Etatism and Diplomacy in Turkey, pp. 166–170. BRILL, 1998
- 1Herd Graeme, Moustakis Fotios.2000. Black Sea Geopolitics: Dillemas, obstacles and Prospects. Conflict studies Research Centre. P14-15. Accssed: June 10, 2018.https://www.files.ethz.ch/isn/97695/00_Jul.pdf

რუსეთისა და თურქეთის ამბიციები - ზიანი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას

პოლკოვნიკი ჯაბა კვაშილავა
ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა ოდილავაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურა

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია შავი ზღვის რეგიონში მოქმედი ორი დიდი მოთამაშის - რუსეთისა და თურქეთის მიერ წარმოებული პოლიტიკა და მათი ინტერესები. აღნიშნული ქმედებები მიმართულია კონკრეტული აქტორის გაბატონებისათვის შავ ზღვაში, რათა მართოს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები. ნაშრომში წარმოდგენილია თურქეთის მიერ ინიცირებული პროექტები და რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიული მოქმედებები რეგიონის ქვეყნების მიმართ. აგრეთვე, ხაზგასმულია რუსეთისა და თურქეთის სამხედრო პოტენციალი, რაც იწვევს დაძაბულ გარემოს. ნაშრომში მოცემული ფაქტორები შეფასებული არის, როგორც შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისათვის დამაზიანებელი და წარმოდგენილია სამომავლო პერსპექტივები დაძაბული გარემოს დასარეგულირებლად.

საკვანძო სიტყვები:
შავი ზღვა, უსაფრთხოება, რუსეთი, თურქეთი.

Ambitions of Russia and Turkey - Damages to the Security of the Black Sea Region

Colonel Jaba Kvashilava
Lieutenant Colonel Lasha Odilavadze
David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
MA Programs

Abstract

The present paper discusses the policies and interests of the two key players in the Black Sea region – Russia and Turkey. Their actions aim at dominating the specific actor in the Black Sea Region for controlling military, political, and economic processes. The paper presents the projects initiated by Turkey and Russian aggressive actions towards the countries of the region. In addition, the paper underlines the military potential of Russia and Turkey that causes tense situations in the region. Finally, the paper stresses the factors that are assessed as damaging to the security of the Black Sea region and outlines the future opportunities to regulate the strained situation.

Keywords:
Black Sea, security, Russia, Turkey.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ცივი ომის დასრულებამ ცვლილებები შეიტანა არაერთი რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში. ამის გამომწვევი მიზეზებიდან შესაძლოა განხილული იყოს ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობების აღდგენა და მათი საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშეები. შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს პოლიტიკურმა რუკამ მიიღო თანამედროვე ფორმაცია. გამონაკლისს არ წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონი, რომელსაც საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად დაემატა ახალი აქტორები, როგორებიცაა საქართველო, უკრაინა და რუსეთის ფედერაცია. ხაზგასასმელია ისიც, რომ ცივი ომის პერიოდის მოწყობიდან ასპარეზზე კვლავ დარჩა „გაფართოებული“ ნატო და თურქეთი, როგორც ნატო-ს წევრი და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების „გასაღებების მფლობელი“. რუსეთის ფედერაციისათვის შავი ზღვა აღქმულია, როგორც „გასასვლელი თბილ წყლებში“, რომელიც მის შავი ზღვის ფლოტს ხმელთაშუა ზღვაში ოპერირების საშუალებას აძლევს. თურქეთი კი შავ ზღვას განიხილავს ერთგვარ შიდა ტბად, სადაც დომინანატი ქვეყანა არის თვითონ და ამასთანავე ხელთ უპყრია ის ბერკეტი, რომელიც რუსეთს არ აძლევს თბილ წყლებში გასვლის საშუალებას. აქვე იკვეთება სხვა შედარებით პატარა ქვეყნების ინტერესები შავი ზღვის რეგიონის მიმართ, რომლებიც ძირითადად ეკონომიკური მიმართულებით იხრება. ზემოთ ხსენებული გარემოებებიდან და შავი ზღვის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მის მიმართ გაიზარდა პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები[1].

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკური თეორიების მიხედვით შავ ზღვას მნიშვნელოვანი ლოკაცია აქვს, რაზეც მაკინდერის „ხმელეთის ფლობის თეორია“-ში, მაჰანის „ზღვის ფლობის თეორია“-ში, სპიქმენის „Rim land”-სა და ჰანტიგტონის „ცივილიზაციებს შორის შეჯახება“-ში მოცემული მოსაზრებებიც მეტყველებს. მოცემული მოაზროვნეები თანხმდებიან ერთში, რომ შავი ზღვა არის ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მუსულმანურ და ქრისტიანულ სამყაროებს შორის გასაყარი და გასაღები იმ ძალისათვის, რომელსაც სურს ბატონობა „ცენტრალურ რეგიონზე და მსოფლიო კუნძულზე“[2].

რუსეთის სურვილი, რომ შავი ზღვის რეგიონში გახდეს ძირითადი მოთამაშე და „მუსიკის შემკვეთი“, ჩანს მისი მოქმედებებიდანაც, რაც გამოიხატება იმით, რომ მან განახორციელა სამხედრო ოპერაციები შავი ზღვის აუზის ქვეყნებში: საქართველოსა და უკრაინაში, აგრეთვე გარკვეული ეკონომიკური ინტერესების მქონე მოლდოვაში. ტერიტორიების ანექსიით რუსეთმა ნატო-ს დაანახა, რომ ის აპირებდა საკუთარი პოლიტიკის გატარებას და წესების კარნახს მთელს რეგიონზე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთი არ აპირებს საკუთარი პოზიციების დათმობას, ხოლო პატარა ქვეყნები საკუთარი „დაბალანსების პოლიტიკით“ ცდილობენ რაც შეიძლება „მეტი ნატო და ამერიკის შეერთებული შტატები“ იყოს შავ ზღვაში, რათა დაცული იყოს რეგიონის უსაფრთხოება. შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ინტერესების ხაზების კვეთამ რეგიონში წარმოშვა რეგიონალური მასშტაბის უნიკალური (Sui Generis) და კომპლექსური უსაფრთხოების გარემო[3].

რუსეთის მოქმედებები შავ ზღვაში

როგორც ზევით აღინიშნა რუსეთის ფედერაციას აქვს მზარდი ინტერესი გახდეს მთავარი მოთამაშე შავი ზღვის რეგიონში და ამისათვის ის მიმართავს ყველა ხელთ არსებულ საშუალებას. განსაკუთრებით მისი გააქტიურება შეინიშნება 2000-იანი წლების დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც მოგვარდა შიდა არეულობები და პრეზიდენტმა პუტინმა მიიღო ქვეყნის ერთპიროვნული მართვის გარანტიები. რუსული მმართველი პოლიტიკური წრეებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძველი გავლენების მოპოვება შავი ზღვის რეგიონში, რათა ხელი შეუშალოს ნატო-ს გაფართოებას და დასავლური გავლენების გაზრდას. აღნიშნულის ფარგლებში შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის ანექსია, შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზება და სამხრეთ სამხედრო ოლქის გაძლიერება, ემსახურება რუსეთის მიერ დასახულ საბოლოო მიზანს[4].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მთავარი მიზანი გახდა აღიდგინოს და გააძლიეროს გავლენა მის პერიფერიებზე. ასევე შეზღუდოს დასავლეთის გავლენა და მეზობელი სახელმწიფოების

1 Akgül, Pınar. 2020. Karadeniz'in Bölgesel Güvenlik Kompleksi olarak İncelenmesi. Ahi Evran Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi (AEÜSBED), 2020, Cilt 6, Sayı 2, Sayfa 550-569. https://dergipark.org.tr/en/download/article-file/1211631.

2 Koçer, Gökhan. 2007. Karadeniz'in Güvenliği: Uluslararası Yapılanmalar ve Türkiye. Akademik Bakış, Cilt 1, Sayı 1 (Kış). https://www.acarindex.com/dosyalar/makale/acarindex-1423881185.pdf.

3 ბატაშვილი, დავით. 2021. რუსეთის სტრატეგია და შავი ზღვა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3fO1CgR.

4 Flanagan, Stephen J. and Irina A. Chindea. 2019. Russia, NATO, and Black Sea Security Strategy. RAND Corporation, Santa Monica, California, US. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/conf_proceedings/CF400/CF405/RAND_CF405.pdf.

ინტეგრირება ევროატლანტიკურ სივრცეში. სამხედრო შესაძლებლობები რუსეთისთვის, ენერგომტარებლებთან ერთად, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტია. რუსები ნაციონალურ ნარატივში მკაფიოდ ხაზს უსვამენ რუსეთის ორ კატასტროფას: პირველი ეს იყო 1985 წელს ყირიმის ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა. 22 წელი დასჭირდა რუსეთს, რომ დაებრუნებინა გავლენა შავ ზღვაზე ყირიმის ომის შემდეგ, დაახლოებით იგივე დრო არის გასული საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და რუსეთი კვლავ ცდილობს მოიპოვოს დომინირება შავ ზღვაზე. რეგიონში კონფლიქტების გაღვივებით და ხელისშეწყობით რუსეთი ცდილობს, რომ დასავლეთს დაანახოს მისი რეალური ძალა და ერთგვარ გაფრთხილებასაც აძლევს იმის თაობაზე, რომ შავი ზღვის რეგიონში გავლენების მოსაპოვებლად უკან არაფერზე დაიხევს, თუნდაც ომის ფასად დაუჯდეს[5]. ამის ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ წამოწყებული მორიგი აგრესია უკრაინაში.

პუტინი რუსეთის აქტიურ მილიტარიზაციას ამართლებს ნაციონალური მიდგომით - დასავლეთიდან მომდინარე სამხედრო საფრთხეების აღსაკვეთად, ამიტომ რუსეთი ცდილობს შავი და აზოვის ზღვები გაიხადოს შიდა საზღვაო წყლად და მოიპოვოს სრული მოქმედების თავისუფლება, როგორიც აქვს კასპიის ზღვაზე. რუსეთმა კასპიის ზღვიდან შეუფერხებლად განახორციელა სარაკეტო დარტყმები „ისლმური სახელმწიფო“-ს წინააღმდეგ ერაყსა და სირიაში[6].

ყირიმის ანექსია უმნიშვნელოვანესი იყო მოსკოვის მიზნების მისაღწევად, რათა მოეხდინა სამხედრო ძალის დემონსტრირება. ნახევარკუნძულზე განალაგა შორი მოქმედების საკრუიზო რაკეტები, ამავდროულად სანაპირო თავდაცვის სისტემებს შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან დასავლეთის ძალებს შავ ზღვაში და მის ფარგლებს გარეთაც. ოკუპირებულ ნახევარკუნძულზე სევასტოპოლში, მდებარეობს რუსეთის მთავარი საზღვაო ბაზა, სადაც განლაგებულია შავი ზღვის ფლოტის უმეტესობა. სევასტოპოლში განთავსებულია ხომალდსაწინააღმდეგო ძალების, მე-15 სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ბრიგადა, რომლის შეიარაღებაშია “ბასტიონ-პ” და “ბალ”-ის ტიპების მობილური სანაპირო თავდაცვის სარაკეტო სისტემები, რუსეთის შეიარაღებაში არსებული ყველაზე თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემა S-400 ტრიუმფი (S-400 Triumph), რომელთაც მხარს უჭერს ადრეული გაფრთხილების სარადარო სისტემები და მოწინავე ელექტრონული ომის წარმოების შეიარაღება. ანალოგიური შეიარაღება განლაგებულია ნოვოროსიისკიდან ჩრდილო-დასავლეთში, უტაშში (კრასნოდარის მხარე). აქვე განლაგებულია სახმელეთო ძალების სადესანტო-მოიერიშე დივიზია. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სამხრეთში განლაგებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალები განლაგებულია შავი და აზოვის ზღვის რეგიონში[7].

რუსეთის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა შავ ზღვაში დომინირების მოპოვება. შესაბამისად, ყირიმის ოკუპაციის შემდეგ დაიწყო მოძველებული შავი ზღვის ფლოტის განახლება. შავი ზღვის ფლოტის შტაბი მდებარეობს სევასტოპოლში და მის ბაზაზე განლაგებულია სხვადასხვა კლასის ფრეგატი, კორვეტი, ტრალერი, სადაზვერვო და სადესანტო ხომალდები. შავი ზღვის ფლოტის შედარებით მცირე ნაწილი განლაგებულია კრასნოდარის მხარეში, ყირიმიდან აღმოსავლეთით. სახმელეთო ძალებიდან რეგიონში განლაგებულია საარმიო კორპუსები რომელთა რაოდენობა და შესაძლებლობა ამოცანიდან გამომდინარე იცვლება, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულია მექანიზებული ბრიგადის ზომის მე-7 სამხედრო ბაზა8. პარალელურად დაიწყო საჰაერო ძალების გადაბაზირება და რესტრუქტურიზაცია. 2019 წელს ჩამოყალიბდა საჰაერო დივიზია. ყირიმში იმყოფება რუსეთის საჰაერო ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფი, რომელთა შეიარაღებაშია გამანადგურებელი, მოიერიშე სადაზვერვო, ხომალდსაწინააღმდეგო და უპილოტო საფრენი აპარატები.

ფსიქოლოგიური ომის სახით, რუსეთი ცდილობს გააძლიეროს აღქმა, რომ მისი სამხედრო შესაძლებლობები დაუმარცხებელია, მაგრამ ანალიზმა და მიმდინარე მოვლენებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს აქვს თანამედროვე თავდაცვის სისტემები, მათ მაინც აქვთ ხარვეზები და დაუცველები არიან დასავლეთის შეტევითი შეიარაღების მიმართ[9].

მიუხედავად რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დანაკარგებისა, რუსეთს მაინც შესწევს უნარი და აქვს პოტენციალი, იყოს ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე შავი ზღვის რეგიონში და აიძულოს მეზობელი ქვეყნები ანგარიში გაუწიოს მის არსებობას. კრეისერ „მოსკვას“ ჩაძირვის შემდეგ თითქოსდა გამოჩნდა, რომ

5 Çelikpala, Mitat. 2010. Security in the Black Sea Region, Policy Report II. Bertelsmann Stiftung Carl-Bertelsmann Straße 256, Gütersloh, Germany. https://www.bertelsmannstiftung.de/fileadmin/files/BSt/Publikationen/GrauePublikationen/GP_Security_in_the_Black_Sea_Region.pdf.

6 Flanagan, Stephen J. and Irina A. Chindea. 2019. Russia, NATO, and Black Sea Security Strategy. RAND Corporation, Santa Monica, California, US. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/conf_proceedings/CF400/CF405/RAND_CF405.pdf.

7 ბატაშვილი, დავით. 2021. რუსეთის სტრატეგია და შავი ზღვა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3fO1CgR.

8 სურმავა, გიორგი. 2021. შავი ზღვა - მოთამაშეთა ინტერესები და შესაძლებლობები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3rFnuxG.

9 Clark, Mason, Kateryna Stepanenko and George Barros. 2022. Russian Offensive Campaign Assessment. Institute for the Study of War & AEI's Critical Threats Project. https://www.understandingwar.org/sites/default/files/Russian%20Operations%20Assessments%20April%2014.pdf

რუსეთის ფლოტი მნიშვნელოვნად შესუსტდა, თუმცა ყურადღება მისაქცევია მის წყალქვეშა ნავებზე და არსენალზე, რომელიც მათზეა განთავსებული.[10] დამატებით, სარაკეტო და სადაზვერვო საშუალებები და სისტემები, რომლებიც განთავსებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათი მოქმედების რადიუსებით თითქმის მთლიანად აკონტროლებს შავი ზღვის აკვატორიას. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დაშვება, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში, ან პირიქით დესტაბილიზაციაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს[11]. ძველი დიდების დაბრუნებისა და იმპერიული ზრახვების გათვალისწინებით კი შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი არ დაუშვებს სხვა ქვეყნ(ებ)ის დომინაციას და ყველანაირად შეეცდება საკუთარი გავლენები მოიპოვოს, რათა მართოს ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები შავი ზღვის რეგიონში.

თურქეთის მოქმედებები შავ ზღვაში

თურქეთს ისტორიული ინტერესები გააჩნია შავი ზღვის მიმართ. ამ ქვეყნის ნოსტალგია იმაზე, რომ ერთ დროს შავი ზღვა ოსმალეთის იმპერიის შიდა ტბა იყო, გარკვეულწილად განსაზღვრავს თურქეთის პოლიტიკას შავი ზღვის რეგიონში. თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ელიტა იზიარებს გავრცელებულ იდეას - „ვინც აკონტროლებს შავ ზღვას, ის აკონტროლებს მთელს შუა აზიას“[12]. არახალია, რომ ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე ცდილობს საკუთარი პოზიციები გაამლიეროს კავკასიასა და თურქული ტომებით დასახლებულ აზიის რეგიონში. ის ამისათვის მიმართავს ყველა ხელთ არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თუ სამხედრო ბერკეტებს. ამასთანავე, თურქეთი აცნობიერებს, რომ საკუთრივ შავი ზღვა და მისი სანაპიროები არის ერთგვარი პლაცდარმი სადაზვერვო ინფორმაციის მომპოვებელი სისტემების განთავსებისათვის, როგორც ხმელეთზე ასევე წყლის ზედაპირზე. მოცემული უპირატესობის მოპოვებით, მას საშუალება მიეცემა თვალყური ადევნოს და აკონტროლოს რუსეთისა და ირანის სამხედრო აქტივობები. დამატებით, აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ნავთობის მარაგების 65%-ის და გაზის რეზერვების 40%-ის მეპატრონე შუა აღმოსავლეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შავ ზღვაზე საკუთარი ენერგორესურსების გატარება, დასავლეთის მიმართულებით. აღნიშნული კი, შავ ზღვას კიდევ ერთ სტრატეგიულ მნიშვნელობას სძენს და შესაბამისად მათი ინტერესის სფერო ხდება „შავი ზღვის უსაფრთხო კორიდორი“-ს არსებობა. აქ კი ხდება ინტერესების თანხვედრა თურქეთსა და ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყნებს შორის. შეიძლება ითქვას ისიც, რომ მსგავსი დამოკიდებულება აქვს აზერბაიჯანსაც, თურქეთის მთავარ სტრატეგიულ მეკავშირეს, კასპიის ზღვაში მოპოვებული ენერგორესურსების დასავლეთის ბაზარზე გატანისთვის[13].

შავი ზღვის რეგიონში მოკლე და გრძელვადიანი ეკონომიკური კავშირების დამყარებაში, თურქეთის ლიდერობის იდეა პირველად 1990 წლის დასაწყისში გაჟღერდა თურქი დიპლომატის და პოლიტიკური მოღვაწის, შუქრუ ელექდაღის მიერ. ის აღნიშნავდა, რომ თურქეთს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამმდინარე, წვდომა ჰქონდა ბალკანეთთან, კავკასიასთან, აზიასთან, შავ და ხმელთაშუა ზღვებთან და ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის გეოპოლიტიკური როლის გაზრდა რეგიონში. აღნიშნული დიალოგის შედეგად 1992 წლის 25 ივნისს შეიქმნა „შავი ზღვის ეკონომიკური კავშირი“, რომელშიც შედიოდნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნები, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა, სერბეთი, მონტენეგრო და საბერძნეთი. ამ თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენდა სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ქვეყნებს შორის, რომელშიც თურქეთის პოლიტიკური ლიდერები წამყვან მოთამაშედ მოიაზრებდნენ თურქეთს1[3].

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც თურქეთის მხრიდან იქნა ინიცირებული არის „შავი ზღვის ერთობლივი მოქმედებები“, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს 1373, 1540 და 1566 დადგენილებების საფუძველზე განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობას. მასში ჩართულია თურქეთის სახელმწიფო ორგანოები და ძალოვანი სტრუქტურები, რომელთა საქმიანობა ორიენტირებული იყო შავ ზღვაზე. 2006 წლამდე „შავი ზღვის ერთობლივ მოქმედებებს“ ჰქონდა ეროვნული სტატუსი, ხოლო 2007 წლიდან მასში მონაწილეობის მიღება დაიწყეს შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებმაც. მოცემული მომენტისთვის, შავი ზღვის დასავლეთ, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში პერიოდულად ხორციელდება თვალთვალი და პატრულირება გემების არასანქცირებული გადაადგილების აღმოსაჩენად. თურქეთი მიიჩნევს, რომ ამ და მსგავსი ღონისძიებების, ლიდერის

10 Clark, Mason, Kateryna Stepanenko and George Barros. 2022. Russian Offensive Campaign Assessment. Institute for the Study of War & AEI's Critical Threats Project. https://www.understandingwar.org/sites/default/files/Russian%20Operations%20Assessments%20April%2014.pdf

11 Clark, Mason. 2021. Russia in Review: June 23 – July 6. Institute for the Study of War. https://www.understandingwar.org/sites/default/files/Russia%20in%20Review%20June%2023%20-%20July%206%202021%20ISW_0.pdf

12 ბატიაშვილი, ზურაბ. 2021. თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3Ta2ieQ.

13 Koçer, Gökhan. 2007. Karadeniz'in Güvenliği: Uluslararası Yapılanmalar ve Türkiye. Akademik Bakış, Cilt 1, Sayı 1 (Kış). https://www.acarindex.com/dosyalar/makale/acarindex-1423881185.pdf.

პოზიციიდან წარმართვაში ის უფრო ეფექტურად შეძლებს განამტკიცოს უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში[14].

სამხედრო თვალსაზისით, თურქეთის მორიგი ინიციატივა კარგი მაგალითი იქნებოდა იმის წარმოსაჩენად თუ რა ინტერესები გააჩნია მას შავი ზღვის მიმართ. კონკრეტულად, შავ ზღვაში მოქმედებს „შავი ზღვის გაერთიანებული ძალები“ – BLACKSEAFOR-ი, რომელიც შეიქმნა 2001 წელს და რომლის წევრები არიან თურქეთი, ბულგარეთი, საქართველო რუმინეთი, რუსეთი და უკრაინა. აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი იყო თურქეთი, კერძოდ თურქეთის საზღვაო ძალები, რომლის ინტერესსაც წარმოადგენდა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიღწევას თურქეთი ფიქრობდა სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მქონე ქვეყნების გაერთიანებით, თურქეთის წინამძღოლობით. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვაო ძალების მიერ გაწეული სამუშაოების შედეგად, შავი ზღვის აუზის ზემოთ ხსენებულ ქვეყნების მიერ ხელი მოეწერა შეთანხმებას BLACKSEAFOR-ის შექმნის თაობაზე. ორგანიზაციის მიზანი იყო შავ ზღვაში, წევრი ქვეყნების საზღვაო ძალების ჩართულობით, განხორციელებულიყო ისეთი ერთობლივი ოპერაციები, როგორიცაა: გარემოს დაცვა, ძებნა-გადარჩენა, განაღმვა და სხვა მსგავსი. 2007 წლიდან შეიცვალა ორაგნიზაციის ოპერაციების ფორმატი და ძირითადი ძალისხმევა მიმართული იქნა ასიმეტრიული რისკების, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების, ადამიანთა გატაცებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ[15].

აღსანიშნავია საკმაოდ რაოდენობის შეიარაღების თავმოყრა შავ ზღვაში თურქეთის მხრიდან, რომელიც წარმოდეგნილია შავი ზღვის ფლოტით და თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლების ბაზებით. ზღვაში ძირითად სისტემებს წარმოადგენს წყალქვეშა ნავები, ფრეგატები, კორვეტები, საპატრულო ხომალდები და სარაკეტო კატარღები, რომლებზე დამონტაჟებულია ხომალდსაწინააღმდეგო შეიარაღება, 280 კილომეტრამდე მოქმედების რადიუსით. სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი სისტემებია ფ-16 გამანადგურებლები, რომელთა მოქმედების რადიუსი 600 კილომეტრამდეა. სამხედრო ავიაციას და ფლოტს მხარს უჭერს ბოლო პერიოდში გამოცდილი უპილოტო საფრენი აპარატები, როგორიცაა Anka”-ს, “Bayraktar”-ისა და “GNAT”-ის ტიპის დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატები. საჰაერო სივრცის დაცვას ახორციელებს რუსეთისგან შეძენილი ს-400 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით, რომელთაც 400 კილომეტრამდე რადიუსში შეუძლიათ მოქმედება[16].

თურქეთის ინტერესი შავი ზღვის მიმართ მაღალია, განსაკუთრებით 2022 წლის თებერვლიდან განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით. შავმა ზღვამ შეიძინა დიდი მნიშვნელობა ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, რადგან მისი ადგილმდებარეობა თანაბრად უპირატესობის მიმცემია იმ ქვეყნის ან ქვეყნებისათვის, რომლებსაც წამყვანი როლის მოიპოვება სურთ იქ არსებული სამხედრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და წარმართვაში. ზემოთ მოცემულ მსჯელობაში კარგად სჩანს თურქეთის მაღალი ინტერესი რეგიონის მიმართ, სადაც მას თავი წარმოუდგენია ყველაზე მთავარ მოთამაშედ, ამის ფიქრის საშუალებას კი მისი სტატუსი განაპირობებს, რომელსაც „მონტროს შეთანხმება“-ში არსებული მუხლები იძლე.[17] შავ ზღვაში თავმოყრილი შეიარაღება კი შესაძლებლობას იძლევა სრულად აკონტროლოს შავი ზღვა და მოიპოვოს საზღვაო ბატონობა. გარდა ამისა, თურქეთი აქტიურად ცდილობს, რომ იყოს არაერთი კოოპერატული ინიციატივის წამომწყები, რათა ხაზი გაუსვას მის მზადყოფნას - გახდეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გარანტორი.

დასკვნა

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება შესაძლოა არ დასტაბილურდეს მანამ სანამ რუსეთის და თურქეთის იმპერიული ზრახვები არ განელდება. „მონროს შეთანხმება“ მნიშვნელოვანი ბერკეტია თურქეთისათვის, რომ რუსეთს არ მისცეს თავისუფლად მოქმედების საშუალება. ამასთანავე, ის ხელს უშლის ნატო-სა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შავ ზღვაში საკუთარი საზღვაო ხომალდების რაოდენობის გაზრდაში. მიმდინარე მოცემულობით, შავ ზღვაში ვერ მოხვდება ვერცერთი ავიამზიდი, თუ არ იქნება მიღწეული ცალკე შეთანხმება, რომლის მიღწევა წარმოუდგენელი ჩანს თურქეთის ინტერესებიდან გამომდინარე - მას არ სურს არსებული ბალანსის დარღვევა. 45 კილომეტრიანი Istanbul Kanal-ის მშენებლობით, რომელიც დაანონსდა პრეზიდენტ ერდოღანის მიერ, შესაძლებელი გახდება დიდი წყალწყვის ხომალდები მოხვდნენ შავ ზღვაში, მათ შორის ავიამზიდები. დამატებით, თურქეთი

14 Akgül, Pınar. 2020. Karadeniz’in Bölgesel Güvenlik Kompleksi olarak İncelenmesi. Ahi Evran Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi (AEÜSBED), 2020, Cilt 6, Sayı 2, Sayfa 550-569. https://dergipark.org.tr/en/download/article-file/1211631.

15 Koçer, Gökhan. 2007. Karadeniz’in Güvenliği: Uluslararası Yapılanmalar ve Türkiye. Akademik Bakış, Cilt 1, Sayı 1 (Kış). https://www.acarindex.com/dosyalar/makale/acarindex-1423881185.pdf.

16 სურმავა, გიორგი. 2021. შავი ზღვა - მოთამაშეთა ინტერესები და შესაძლებლობები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3rFnuxG.

17 ბატიაშვილი, ზურაბ. 2021. თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3Ta2ieQ.

ცდილობს ახალი ინიციატივებით რეგიონში გახდეს წამყვანი ქვეყანა. მოცემული ეტაპისათვის ის ყველა პროექტში არის ჩართული, იქნება ეს სწავლებები ნატო-ს ეგიდით, თუ საზღვაო ოპერაციები მის მიერ ინიცირებული თანამშრომლობების ფარგლებში.

თურქეთისგან განსხვავებით რუსეთი მიმართავს ძალისმიერ გზებს, რათა საკუთარი უპირატესობა წარმოაჩინოს. მის მიერ ინიცირებული თუ წახალისებული ომები და კონფლიქტები ნათლად მიანიშნებს იმ პოლიტიკაზე, რომელსაც ის გაატარებს სამომავლოდ. ამასთანავე, რუსეთი მიმართავს ჰიბრიდულ მიდგომებსა და რბილ ძალას, რათა მიაღწიოს სასურველ ჩანაფიქრს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებული სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები საშუალებას იძლევა დაფაროს თითქმის მთლიანი აკვატორია. ხოლო, უკრაინაში დაწყებული სამხედრო კამპანიით შავი ზღვის უსაფრთხოებას კიდევ ერთი გამოწვევა დაემატა.

ეკონომიკური პროექტებისათვის უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭება და იმპერიული განწყობების მეორე პლანზე გადატანა, შესაძლოა საკვანძო იყოს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისათვის. თურქეთის მხრიდან ნებართვის მიცემა ნატო-ს ხომალდებისათვის შევიდნენ შავ ზღვაში და განახორციელონ ერთობლივი პატრულირება, იქნება შემაკავებელი რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. მიზანშეწონილია პატარა ქვეყნების საზღვაო შესაძლებლობების და სანაპირო დაცვის გაძლიერება. აღნიშნულით თითოეულ მათგანს საშუალება ექნება შეაკავოს მომავალი აგრესია და წვლილი შეიტანოს რეგიონალურ უსაფრთხოებაში. რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეების (ეკონომიკისთვის საზიანო) დასაბალანსებლად სასურველი იქნება ისეთი თანამშრომლობის ჩამოყალიბება შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის, რომელსაც ექნება პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათი, რაც მათ საშუალებას მისცემს, ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ კასპიის ზღვისა და შუა აზიის ენერგორესურსების გატარება ევროპის მიმართულებით, აგრეთვე აღკვეთონ ეკონომიკური დანაშაულებები შავი ზღვის რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბატაშვილი, დავით. 2021. რუსეთის სტრატეგია და შავი ზღვა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3fO1CgR.
- ბატიაშვილი, ზურაბ. 2021. თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3Ta2ieQ.
- სურმავა, გიორგი. 2021. შავი ზღვა - მოთამაშეთა ინტერესები და შესაძლებლობები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. https://bit.ly/3rF-nuxG.

საქართველოს როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში

ვიცე-პოლკოვნიკი მანუჩარ ხარძეიშვილი
ვიცე-პოლკოვნიკი დავით ტაბატაძე
მაიორი ლაშა გოგალაძე
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურა

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს როლი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში, საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები, რეგიონით დაინტერესებული ორგანიზაციები და საქართველოზე გამავალი ენერგო სატრანზიტო ხაზები, რომელებიც დიდი გავლენას ახდენენ როგორც საქართველოს, ისე რეგიონის უსაფრთხოებაზე. აქცენტირება ხდება რეგიონში მიმდინარე რუსეთ - უკრაინის საომარ მოქმედებებსა და იმ გადაუჭრელ კონფლიქტებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ რეგიონის უსაფრთხოებაზე.

მოცემულია თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანის (ტრასეკა) ხელშეკრულების ღრმა და ყოვლისმომცველი განხილვა-ანალიზი. საუბარია ამ უკანასკნელთა და რეგიონით დაინტერესებულ ორგანიზაციათა მნიშვნელობაზე საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკურ საქმიანობასა და სტაბილურობის შექმნაში. აგრეთვე ყურადღება გამახვილებულია სამხრეთ კავკასიის სატანზიტო დერეფანის მნიშვნელობასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

საკვანძო სიტყვები:
შავი ზღვა, უსაფრთხოება, ენერგო რესურსები, ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რეგიონალური პროექტები, სარკინიგზო მაგისტრალი, ტვირთბრუნვა.

The Role of Georgia in the Security Architecture of the Black Sea Region

Lieutenant Colonel Manuchar Khardzeishvili
Lieutenant Colonel Davit Tabatadze
Major Lasha Gogaladze
LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
MA Programs

Abstract

The article discusses the role of Georgia in the security architecture of the Black Sea region, the security challenges facing our country, organizations interested in the region as well as energy transit lines passing through Georgia that have a great impact on the security of both our country and the region. The emphasis is on the ongoing Russian-Ukrainian hostilities in the region and unresolved conflicts affecting the security of the region.

The paper presents a review and analysis of the Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement (DCFTA) as well as the Agreement between the Black Sea Economic Cooperation Organization and the Transport Corridor Europe Caucasus Asia (TRASECA). The paper emphasizes the importance of these structures and the organizations interested in the region, playing the role in the economic activity and stability of Georgia and the Black Sea region. In addition, the article highlights the importance of the transit corridor of the South Caucasus and future opportunities in this regard.

Keywords:
Black Sea, safety, energy resources; Economic Cooperation Organization, regional projects, railway, cargo turnover.

შესავალი

ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე შავი ზღვის გეოსტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის, რომ შავი ზღვის რეგიონი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ყოველთვის წარმოადგენდა რიგ სახელმწიფოთა ინტერესის საგანს, როგორც რეგიონულ დონეზე, ისე მის საზღვრებს მიღმა. შავი ზღვა არის დამაკავშირებელი ხიდი ორ კონტინენტს შორის და კარიბჭე - ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. იგი უკავშირდება - ხმელთაშუა ზღვას, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ოკეანესა და სანაოსნო წყლებთან. იგი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონია, რომლის მიმართ გაზრდილი ყურადღების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სწორედ მისი სატრანზიტო მნიშნელობა და მარშრუტები წარმოადგენს, რომელიც დასავლეთის ქვეყნებს ნახშრწყალბადის ნედლეულით მდიდარ სახელმწიფოებთან - შუა აზიათან და კავკასიასთან აკავშირებს. ხოლო შავი ზღვის ქვეყნების ტერიტორიებსა და ფსკერზე დაგეგმილი გაზსადენების ფართომასშტაბიანი და საკმაოდ ამბიციური პროექტები, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში რეგიონის როლის ზრდის მოლოდინების საშუალებას იძლევა. თუმცა, რეგიონის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური განვთარების გზაზე სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტები, რომელიც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას.

რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციამ, ისევე, როგორც უკრაინაში ყირიმის ანექსიამ და რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გაფართოებამ დიდი გავლენა მოახდინა რეალური უსაფრთხოების გარემოზე. რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შედეგად, სამხედრო ბალანსი შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვნად შეიცვალა და ახლა შავი ზღის ქვეყნებს სჭირდებათ დამატებითი და განსხვავებული ხასიათის ფორმატი შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარის, ლინკოლნ მიტჩელის განცხადებით, „ყირიმის შემდეგ შავი ზღვის რეგიონი ნატოსთვის სტრატეგიულიად უფრო მნიშვნელოვანი ხდება, თუმცა, არის გამოწვევებიც, კერძოდ, როგორ უნდა შეიტანო რესურასები შავ ზღვაში; როგორ შევიმუშავებთ სტრატეგიებს ნატოს წევრი ქვეყნებისთვის შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მონაწილეობით. შავი ზღვის რეგიონის კონტექსტში საქართველოს შესახებ საუბრისას, უნდა ავღნიშნოთ აფხაზეთი, რომელიც რუსეთის მიერაა ოკუპირებული. ეს თავის მხრივ სერიოზული გამოწვევაა და რუსეთისთვის მეტ პოტენციალს ქმნის რეგიონში ვითარების დაძაბვის თვალსაზრისით“ (Mitchell 2016).

ამდენად, შავი ზღვის უსაფრთხოება, საქართელოს როლი, შავ ზღვაზე არსებული საფრთხეები, აწუხებს არა მარტო საქართველოს, არამედ აწუხებს ევროპულ უსაფრთხოებას, ეს აწუხებს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას და ის, რომ უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, რათა ეს უსაფრთხოება იქნას დაცული და მაქსიმალიურად გარანტირებული, ამას სჭირდება სერიოზული თანამშრომლობა ყველა სფეროში. არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურში, არამედ ეკონომიკური განვითარების, რეფორმების თვალსაზრისით, რაზეც ყველა ვთანხმდებით.

აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების და საქართველოს, უკრაინისა და ნატოს ქვეყნების წინაშე შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით არსებული შესაძლებლობების განხილვა-ანალიზი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების ყოფილი მეთაურის, გენერალ ბენ ჰოჯესის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული 12 პუნქტიანი ანგარიში, სადაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოების საკითხებზე და საუბრობს შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ერთმანეთთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის აუცილებლობაზე, მათ შორის დაზვერვის, ინფორმაციის გაცვლის კუთხით. ამასთან, აღნიშნავს, რომ უნდა ჩამოყალიბდეს სერიოზული ინფრასტრუქტურა საქართველოში, უკრაინაში, რუმონეთში და ბულგარეთში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამერიკული საზღვაო ძალების მუდმივი ყოფნა შავ ზღვაზე, რაც იქნება გარკვეულწილად შემაკავებელი ფაქტორი რუსეთის აგრესიული ქმედებების საპირწონედ და ხელს შეუწყობს უსაფრთხოებას. იგი აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში ძლიერი ეკონომიკის მნიშვნელობაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს ძირითადად უსაფრთხოება შავ ზღვაზე.

გენერალი საუბრობს კრემლის მიერ მნიშნელოვანი პროექტის - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პროექტის ჩაშლაზე საქართველოში, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა არა მხოლოდ საქართელოს, არამედ, სხვა ქვეყნების ინტერესებსაც. კერძოდ, ის აცხადებს: „კრემლამა საქართველოშიანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მოსაკლავად, რაც შეძლო ყველაფერი გააკეთა. შავი ზღვის რეგიონისთვის, კონკრეტულად კი საქართველოსა და რუმინეთისთვის ის თამაშის წესების შემცვლელი უნდა ყოფილიყო. ანაკლიის პორტის პროექტის შეჩერება, აბრკოლებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკონომიკური კოროდორის განვითარებას, რაც რუმინეთში კონსტანტას პორტს სარგებელს უკარგავს“ (გენერალ ჯოჯესის 2021 წლის 22 ივნისის ანგარიში - შავი ზღვის უსაფრთხოებაზე).

შავი ზღვა ამჟამად არის დაპირისპირების ზღვარზე ავტოკრატიულ სამყაროსა და დემოკრარიულ სამყაროს შორის. კერძოდ, 3 ძალიან დიდი ძალა მოქმედბს ამ რეგიონზე. კერძოდ, ერთი - ეს არის რუსეთის აგრესია ჩრდილოეთიდან; მეორე - ჩინეთის ფინანსური და ეკონომიკური გავლენა აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან - ახლო აღმოსავლეთი - ტეროტიზმი და არასტაბილურობა.

ჰოჯესის ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ენერგრტიკული უსაფრთხოების საკითხებს

და ენერგრტიკულ დამოუკიდებლობას. საუბარია ამერიკულ თხევად გაზზე, რომელსაც უკვე იღებს ევროპა და ასევე თურქეთი და ასევე წარმოადგენს სერიოზულ კომერციულ ალტერნატივას რუსული „გაზპრომისთვის“(გენერალ ჯოჯესის 2021 წლის 22 ივნისის ანგარიში - შავი ზღვის უსაფრთხოებაზე).

ქართველი ექსპერტებიც არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ საქართელოში რომ არსებობდეს თხევად გაზის საცავი, ეს იქნებოდა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ენერგოდამოუკიდებლობისთვის და ასევე იქნებოდა უსაფრთხოების მექანიზმი საქართველოსთვის.

შავი ზღვის რეგიონში არსებობული დიდი ეკონომიკური პოტენციალი, წარმოშობს გლობალურ და რეგიონალურ ძალებს შორის კონკურენციას რეგიონში გავლენების მოსაპოვებლად. მაგრამ, უსაფრთხოების გარეშე ინვესტიციები ვერ განხორციელდება. ამიტომ, არსებული კონკურენციის პირობებში საქართელოს, სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბების პერსპექტივები დიდწილადაა დაკავშირებულირეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. რეგიონის უსაფრთხოებას გამოწვევას უქმნის არსებული გაყინული კონფლიქტები და რუსეთ-უკრაინის მიმდინარე საომარი მოქმედებები, რაც ამცირებს რეგიონის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას. კრემლი ცდილობს შავი ზღვის რეგიონს გამოაცალოს საერთაშორისო მნიშვნელობა და რეგიონი გადააქციოს შიდა წყლის გზად, რაც ეწინააღმდეგება ზღვისპირა ქვეყნებისა და საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებს.

უსაფრთხოების გამოწვევვები შავი ზღვის რეგიონში და საქართველო

შავი ზღვის ზონა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოებაზე, სტაბილურობასა და განვითარებაზე. ამავე დროს, მისი როლი შეიძლება იყოს ორმხრივი - მას შეუძლია იმოქმედოს როგორც საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშემშლელად ასევე ხელშემწყობად. ერთის მხრივ, შავი ზღვის ზონა ბოლო დროს გადაიქცა რუსეთის გეოპოლიტიკური თამშების მთავარ გეოგრაფიულ სივრცედ, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს ეროვნულ სუვერენიტეტს, საფრთხეს უქმნის მის სახელმწიფოებრიობასა და საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს. პირდაპირი ნეგატიური ზეგავლენა იქმნება რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შედეგად, რუსეთის საზღვაო ძალების დომინირება საქართველოს სანაპირო წყლებში. საქართველო განსაკუთრებით დაუცველია შავი ზღვის ზონაში რუსეთის მიერ წარმოქმნილი სამხედრო რისკების მიმართ.

„საქართველო, როგორც შავი ზღვის რეგიონის ნაწილი, მასში არსებული კომპლექსური უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დგას, რაც მეტწილად განპირობებულია რუსეთის ფედერაციის რევიზიონისტული ქმედებებით. რუსეთის ფედერაცია მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონში დასავლეთის ინტერესებისა და შესაძლებლობის შეზღუდვას, რისთვისაც მისდევს გამალებულ მილიტარიზაციას, ახდენს სამხედრო ძალების დემონსტრაციას და ავლენს გამოყენების მზაობას ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში, რუსეთის ფედერაციის ქმედებები რეგინის სტაბილურბას მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის. (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025, გვ.7);

შავი ზღვის სანაპირო ერთ-ერთი მთავარი სცენა იყო 2008 წლის ომის დროს, როდესაც რუსეთის საზღვაო ფლოტმა გაანადგურა საქართველოს ფლოტი და შეინარჩუნა საზღვაო კორდონი, რომელიც ბლოკავდა მისასვლელს ფოთის პორტსა და მთელ საქართველოს სანაპიროზე. რუსეთი ასევე ინარჩუნებს სამხედრო საზღვაო ძალებს აფხაზეთში მდებარე სტრატეგიულად მნიშვნელოვან პორტ ოჩამჩირეში. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე საომარ მოქმედებებისას რუსეთის მიერ აქტიურად იქნა გამოყენებული შავი ზღვის აკვადორია უკრაინის წინააღმდეგ, რაც წარმოაჩენს მათ სამხედრო დომინირებას შავ ზღვაში. აღნიშნული დომინირება განპირობებული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდგომ დასავლეთის არასაკმარისი რეაქციით, რაც მნიშვნელოვნად შეიცვალა 2022 წლის თებერვლში დაწყებული რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ. ომის დაწყებიდანვე დასავლეთმა მოახდინა გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ. უკრაინაზე პოლიტიკური და სამხედრო დახმარების აღმოჩენით, ის დაუპირისპირად რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებს რეგიონში. აღნიშნულით კი გაიზარდა დასავლეთის ინტერესი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. მიმდინარე პროცესებმა გამოკვეთა საქართველოს როლის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში. რუსეთი ცდილობს ეფექტურად გამოიყენოს ენერგო რესურსების ბერკეტი დასავლეთის წინააღმდეგ, რომელსაც ის ერთპიროვნულად ფლობს შავი ზღვის რეგიონში. აღნიშნულმა მოცემულობამ დასავლეთისათვის სასიცოცხოლოდ მნიშვნელოვანი გახადა სამხრეთ კავკასიის სატანზიტო დერეფანი, რომლის სრულად ამოქმედების შემდეგ გარკვეულწილად შემცირდება რუსეთის ენერგო რესურსებზე დამოკიდებულება და გაუმჯობესდება ევროპის ენერგოუსაფრთხოება. სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო დერეფანში საქართველოს ცენტრალური ადგილი უჭირავს, აღნიშნული დერეფანის დაკავშირება კასპიის ზღვის ენერგორესურსებთან ზრდის დერეფნის მნიშვნელობას დასავლეთისათვის, რაც დადებითად აისახება საქართველოსათვის. ასევე სამხრეთ დერეფნის გამართვა ეწინააღმდეგება რუსეთისა და ირანის ინტერესებს. რეგიონში განვითრებულმა და მიმდინარე მოვლენებმა ასევე წარმოაჩინა დასავლეთის ჩართულობა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში. ევროკავშირისა და ნატოს წევრი თურქეთის სახელმწიფოს ჩართულობით მოხდა პირდაპირი დიალოგი დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რაც

ცალსახად დადებითი ნაბიჯია აღნიშნული კონფლიქტის დასრულებისათვის.

რეგიონში შავი ზღვით დაინტერესებული ორგანიზაციების როლი უსაფრთხოების არქიტექტურაში

შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევროკავშირს ასოცირების შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ,,ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას“ **(DCFTA).** შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები - მოლდოვა, უკრაინა და მათ შორის საქართველო ევროპული ინტეგრაციის აქტიურ ფაზაშია, რაც ქმნის შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობის გაზრდის შესაძლებლობას. ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები დიდწილად უწყობს ხელს მოცემული სახელმწიფოების ეკონომიკურ და ინსტიტუციურ განვითარებას. ყოველივე ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შავი ზღვის რეგიონის აღნიშნულ ქვეყნებს აქვთ წვდომა ევროკავშირის ბაზარზე გამარტივებული საბაჟო პროცედურებისა და გადასახადების გარეშე. გარდა იმისა, რომ მოცემულ ქვეყნებს თავისუფალი წვდომის საშუალება აქვთ ევროპულ ბაზარზე, მოცემული ხელშეკრულებები და შეთანხმებები დამატებით ადგენს სხვადასხვა სტანდარტს, რომლის საშუალებითაც ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობები კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ევროკავშირს და გახდნენ წევრები. ევროკავშირის აქტიური ჩართულობა შავი ზღვის რეგიონში გაზრდის ეკონომიკური შესაძლებლობებას რეგიონის ქვეყნებისათვის რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აღნიშნული ქვეყნების სტაბილურობისათვის (გოგოლაშვილი 2018).

რეგიონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (BSEC). აღნიშნული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1992 წელის 25 ივნისს თერთმეტი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი,თურქეთი და უკრაინა). 2004 წლიდან ორგანიზაციას შეუერთდა სერბეთი. აღნიშნული ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს წევრი ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერას. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC) ატარებს რეგულარულ შეხვედრებს და მოიცავს სხვადასხვა სფეროებს როგორიცაა: ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარების საკითხები; მცირე და საშუალო საწარმოების საკითხები; ტურიზმის საკითხები; ტრანსპორტის საკითხები; სოფლის მეურნეობის საკითხები; საბანკო და საფინანსო საკითხები და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს BSEC-ის მნიშვნელოვან მამოძრავებელი სტრუქტურა, რომელსაც წარმოადგენს - შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB). ზოგადად მოცემული ბანკის პრინციპები ითვალისწინებს შემდეგს: წევრი ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებას და ბანკის სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობას. მოცემული ბანკის ხელშეწყობით დაფინანსება ხორციელდება სხვადასხვა რეგიონალურ პროექტების, მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობის გაზრდისა და წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის.

მნიშვნელოვანია საქართველოს თანამშრომლობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, ორგანიზაციას საქართველო მხარს უჭერს მისი დაარსებიდანვე, რაც გამოხატულია ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით და გაფართოებით. BSEC-ის ფარგლებში მიღწეულ ვაჭრობას მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში. ქვეყანა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის გაღრმავებას, ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ენერგეტიკა, ტურიზმი, მცირე და საშუალო მეწარმეობა და ტრანსპორტი, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს ქვეყანაში ეკონომიკურ განვითრების განმტკიცებას. BSEC-ის ფარგლებში საქართველოსა და სხვა წევრ ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა და სხვადასხვა პროექტების განხორციელება დადებით გავლენას ახდენს რეგიონის უსაფრთხოებაზე.

აღსანიშნავია, აგრეთვე საქართველოსთვის და ზოგადად შავი ზღვის რეგიონისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა, როგორიცაა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (ტრასეკა). აღნიშნული პროგრამის ხელშეკრულება დაიდო 1993 წელს ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ბრიუსელში. ტრასეკა წარმოადგენს ევროპისა და აზიის სახელმწიფოებს შორის მგზავრების გადაყვანის და დიდი მოცულობის ტვირთების გადაზიდვის ერთიან სისტემას, რაც ხელს უწყობს რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობების გაღრმავებას. მოცემულ პროგრამაში თავიდან ჩაერთნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი, შემდეგ კი სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ. პროგრამა დღემდე აქტიურია რაც გამოიხატება არაერთი მნიშვნელოვანი კონფერენციების მიძღვნით. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანის პროგრამის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა რეგიონის განვითარებასათან დაკავშირებით, როგორიცაა საერთაშორისო დონის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების განვითარება (ჩიტალაძე 2018)

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი; საზღვაო პორტების კეთილმოწყობა და მომზადება დიდი მოცულობის ტვირთბრუნვისათვის; საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესშია. საავტომობილო და სარკინიგზო გამტარუნარიანობის გაზრდამ აამაღლა გადაზიდვების

რაოდენობა და უსაფრთხოება რეგიონში (Shepard 2016).

ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფანი შავი ზღვის რეგიონში

შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს გაზისა და ნავთობის სატრანზიტო დერეფანს, იგი წარმოადგენს ენერგეტიკულ ხიდს რუსეთის, აზერბაიჯანისა და კასპიის ქვეყნებიდან ევროპის მიმართულებით. აღნიშნულ სატრანზიტო დერეფანში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს, იგი სამხრეთის გაზის დერეფნის შემადგენელი ნაწილია. სამხრეთის გაზის დერეფანი მოიცავს ოთხ პროექტს:

1. შაჰ-დენიზის ბუნებრივი აირის საბადოს ექსპლუატაცია (პროექტი „SD1“) და მისი სრული საველე განვითარება (პროექტი „SD2“),
2. სამხრეთ კავკასიური მილსადენის ექსპლუატაცია („SCP“ პროექტი) და მისი გაფართოება (პროექტი „SCPX“),
3. ტრანსანატოლიის ბუნებრივი აირის მილსადენის ექსპლუატაცია (პროექტი „TANAP“)
4. ტრანსადრიატიკის მილსადენის ექსპლუატაცია („TAP“ პროექტი) (SD2, SCPX, TANAP და TAP ერთობლივად, „პროექტები“).

SD2 პროექტი დასრულების შემდეგ, დაამატებს დამატებით 16 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს წელიწადში უკვე დასრულებულ SD1 პროექტის ფარგლებში წარმოებულ 10,9 მლრდ კუბურ მეტრს. რუსეთის მიერ დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა უკრაინის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაზარდა აღნიშნული პროექტის მნიშვნელობა ევროპისათვის. ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის შემთხვევაში, რომელიც დაუკავშირდება სამხრეთის დერეფანს ევროპა თურქმენეთის გაზის მიღებასაც შეძლებს, რითაც მოახდენს გაზის მიმწოდებლების დივერსიფიკაციას. სამხრეთის დერეფანი შეამცირებს ევროკავშირის დამოკიდებულებას რუსეთის ტერიტორიიდან გამავალ უკვე არსებულ გაზსადენებით მიღებულ გაზზე, რითაც შესუსტდება რუსეთის დომინანტობა რეგიონში და გაძლიერდება ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოება (British Petroleum [BP] 2021).

ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ნავთობის მიწოდებას რუსეთისაგან დამოუკიდებლად. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი ნედლი ნავთობის გადაადგილებას ახორციელებს კასპიის ზღვის სანაპიროებიდან თურქეთამდე და შემდგომ მიეწოდება ევროპის კონტინენტს. ასევე ბაქო სუფსის ნავთობსადენი, სადაც აზერბაიჯანის შირაგის საბადოდან მოპოვებული ნედლი ნავთობი საქართველოს სუფსის ტერმინალამდე მიდის და შემდგომ საზღვაო გზით მიეწოდება დასავლეთს. ასევე მნიშვნელოვანია ყაზახური ნავთობის დაერთების შესაძლებლობა უკვე არსებულ ნავთობის ხაზთან, ტრანსკასპიური მილსადენის აშენების შემთხვევაში რომელიც დააკავშირებს ყაზახეთს აზერბაიჯანთან და შემდგომ აზერბაიჯანი–საქართველო–თურქეთის გავლით მიეწოდება დასავლეთს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად გაზარდა დასავლეთის ინტერესი და ჩართულობა რეგიონში. რუსეთის აგრესიულმა მოქმედებებმა უკრაინაში და ენერგო რესურსების პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებამ დასავლეთის წინააღმდეგ, გაზარდა ინტრესი სამხრეთ კავკასიის დერეფინს მიმართ ევროპისათვის. აღნიშნული მაღალი ინტერესის გამო მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების გადაწყვეტა სტაბილური გარემოს შექმნისათვის. შავი ზღვის რეგიონში არსებული და დაინტერესებული ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოს აძლევს შესაძლებლობას არსებული კონფლიქტები მოგვარდეს მშვიდობიანი გზით. საქართველოზე გამავალი ენერგო რესურსები წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის დერეფნის სატრანზიტო კვანძს, რომელს უსაფრთხოებაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ლიტერატურა ქართულ ენაზე

- ანდღულაძე, ანა და ამანდა პოლი. 2018. „10 წელი ბუქარესტის სამიტის შემდეგ რატომ უნდა გაორმაგოს ნატომ ფსონი საქართველოზე.“ Eurpean Poilcy Centre. თბილისი. https://www.epc.eu/content/PDF/180703_10yearsafterBucharest_Georgian_AP.pdf
- გაბელია, ირაკლი. 2019. ,,ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების

კონტექსტში.“ სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი. Irakli Gabelia Samagistro.pdf (openscience.ge)
- გოგოლაშვილი, კახა. 2018. ,,ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოვება.“ Georgian-2651.pdf (gfsis.org)
- დვალიშვილი, სოსო. 2021. ,,საერთაშორისო ორგანიზაციების როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.“ სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის ღია სასწავლო უნივესიტეტი. თბილისი. Soso Dvalishvilil Samagistro.pdf (openscience.ge)
- თავდაცვის სამინისტრო. 2020. „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025.“ https://mod.gov.ge/uploads/upload_new/tavdacvis_strategiuli_mimoxilva.pdf
- თავდაცვის სამინისტრო. 2020. „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030.“ https://mod.gov.ge/ge/page/133/tavdacvis-saministros-xedva-2030
- კომახია, მამუკა. 2018. ახალი დიდი თამაში ცენტრალურ აზიაში: ბრძოლა კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებაში. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. Expert Opinion.cdr (gfsis.org.ge)
- კვარაცხელია, ელენე. 2018. ,,ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები.“ სამაგისტრო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://open-science.ge/bitstream/1/1437/1/MA Thesis. Kvaratskhelia polit.pdf
- მანჩხაშვილი, მაია. 2019. ,,რუსეთი და სამხრეთ კავკასია.“ აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, #II, 73-90. https://womensvoice.tsu.ge/index.php/hos/article/view/2808/2958
- ნაიბოვი, პერვინ. 2022. ,,სამხრეთ კავკასიის ენერგოსატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობა.“ სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. სამხრეთ კავკასიის ენერგოსატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობა | Pervin Naibov - Academia.edu
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2022. თბილისი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (economy.ge)
- უკლება, მიხეილ. 2021. სამხრეთ კავკასია და მისი შესაძლებლობები სატრანსპორტო - ლოგისტიკური დერეფნების განვითრების ჭრილში. samkhreth-kavkasia-da-misi-shesadzleblobebi-sa-transporto-logistikuri-derefnebis-ganvitharebis-tcrilshi-mikheil-ukleba-mamuka-cikhelashvili.pdf (di.gov.ge)
- ჩიტალაძე, ანა. 2018. ,,შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე.“ კვლევის დოკუმენტი # 7, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 1-25. შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე | GIP
- ჯინჭველეიშვილი, ქრისტინე. 2015. ,,ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა - პრიორიტეტული სფერო #1.“ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა - პრიორიტეტული სფერო #1 (intermedia.ge)
- კაკაბაძე, ვაჟა. 2019. ,,სახალხო დიპლომატიის ადგილი ქართულ და აფხაზურ პოლიტიკაში.'' მატიანე No 3: 4-15.
- სონღულაშვილი, ვახტანგ, ავთანდილ, სონღულაშვილი და ქეთევან ჯინჭარაძე. 2020. სახალხო დიპლომატია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. თბილისი: მერიდიანი.

ლიტერატურა ინგლისურ ენაზე

- British Petroleum. 2021. საქართველო. მთავარი (bp.com)
- Shepard, Wade. 2016. ,,Reconnecting Asia: The Story Behind The Emerging Baku-Tbilisi-Kars Rail Line'' Reconnecting Asia: The Story Behind The Emerging Baku-Tbilisi-Kars Rail Line (forbes.com)
- Matsaberidze, David. 2021. „The Challenges of Post-Soviet Transformation in Georgia: Democratization and Its External and Domestic Rivals.“ Department of International Relations Faculty of Social and Political Science
Ivane Javakishvili Tbilisi State University. თბილისი. https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1258
- Ministry of Foreign Affairs of Georgia 2019. „National Security Concept of Georgia.“ თბილისი. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx
- Mitchell L - Security of Wider Black Sea region; 25 May 2016; https://bit.ly/3CjXSLS (გადამოწმებულ იქნა 10.10.22)
- Hodges Ben - CEPA Strategy Paper - The Black Sea ... or a Black Hole? https://cepa.org/wp-content/uploads/2021/01/CEPA-SP-Black-Sea-Strategy-v2- 1.19.21.pdf (გადამოწმებულ იქნა 10.10.22)

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 32 2 30 52 85
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ტირაჟი: 20

ISBN 978-9941-8-4890-2